# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 თებერვალი, 2010 წელი.

№33 (6399)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# არც ჩვენს პრეზიდენტს სცოდნია რამე, ბატონო გრიგოლ?!

## არცთუ რიტორიკული შეკითხვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

2

*„...რა გამოდის, თქვენეული „არშინით“ მიხეილ სააკაშვილიც გაუნათლებელია, მასაც არ სცოდნია, როდის და როგორ უნდა გამოიყენოს ეს გამოთქმა, — და, იმ ერთი ჩემი ნაცნობისა არ იყოს, ის სკოლაც და უმაღლესიც უნდა დავწვათ, სადაც მას უსწავლია და ატესტატ-დიპლომ-სერტიფიკატი აუღია?“*



## ზურაბ ნოღაიდელი: წიკლაურის იდიოტურმა განცხადებამ შეიძლება საქართველოს ახალი უბედურება მოუტანოს

**გუშინ ბათუმში გაიმართა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის კონფერენცია. ფაქტობრივად ეს კონფერენციაც იყო და ახალგაზრდული ფრთის თავისებური პრეზენტაციაც.**

როგორც ჩანს, ნოღაიდელის მოძრაობას ინტენსიურად უმუშავია არა მარტო ბათუმში, არამედ აჭარის რაიონებშიც. ახალგაზრდული ფრთის წევრია უკვე 500-ზე მეტი სტუდენტი, მუშა თუ დაუსაქმებელი ახალგაზრდა. კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა ზურაბ ნოღაიდელმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ვინც ზეწოლით, შანტაჟით შეეცდება მოძრაობის დისკრედიტაციას ან არჩევნების გაყალბებას, მათ გაანადგურებენ, ხელ-ფეხს მოამტვრევენ და წელშიც გადაამტვრევენ, აგრეთვე, გაიმეორა ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელის დიმიტრი ჭეიშვილის სიტყვები, რომლითაც მან მოწინააღმდეგეებს მიმართა: „ჩვენ თქვენ გადაგთელავთო“. ამას რომ ამბობდა, რა თქმა უნდა, ნოღაიდელი სააკაშვილის ხელისუფლებას გულისხმობდა.

კონფერენციის დასრულების შემდეგ ზურაბ ნოღაიდელმა „საქართველოს რესპუბლიკას“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. გთავაზობთ ამ საუბრის ფრაგმენტს.

**„სრ“** — ბატონო ზურაბ! დღეს საქართველოს პარლამენტის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ სულ მალე საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გვერდის ავლით პირდაპირ კონტაქტებს დაამყარებენ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებთან, როგორც საქართველოს მეზობლებთან, რომლებთანაც ისტორიული კავშირები ჰქონდა ჩვენს ქვეყანას. მან დაასახელა: ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და სხვები. როგორ შეაფასებდით ამ ნაბიჯს?

**ზურაბ ნოღაიდელი:** — მე ჯერ ეს განცხადება არ მომისმენია, თუ ასეთი რამ თქვა, ეს საშინელებაა. დაწერეთ, რომ წიკლაურის ამ იდიოტურმა განცხადებამ შეიძლება საქართველოს ახალი უბედურება მოუტანოს, თუ ეს მართლაც განხორციელდა, შედეგებზე ვინ აგებს პასუხს? ნამდვილად არ გვაქვს იმის უფლება, რომ თუნდაც მცირე პროვოკაცია წამოვიწყოთ რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ჩვენსავე საზიანოდ გამოიყენებს. რა შედეგი მოგვიტანა მსგავსმა წინდაუხედაობამ, კარგად ვნახეთ 2008 წლის აგვისტოში, რომლის გამეორებამაც, ღმერთმა ნუ ქნას და, ჩვენი ქვეყანა შეიძლება ისტორიულ კატაკლიზმამდე მიიყვანოს.

**ამირან კილურაძე**

## „მამთი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინი“ ვანოს სასმენ ყურებად არის ქცეული

3

## რამაზ კლიმიაშვილი: „სააკაშვილმა, შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უგულავა ჭანტურიათი ჩაანაცვლოს“

3





5

## გენერალი არაკჩეევი და მისი „გრუზინო“

## „პაპაჩემი გენიოსი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ისე მოპყრობოდნენ, როგორც მკვლელსა და გარყვნილს“

7





4

## „დენსი“ ალმავლობის გზაზე

## რუსეთმა აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვა შეუძლიათ

8



№ 33. შაბათი, 20 თებერვალი, 2010 წელი.

გაბრაზებულ გულზე

# არც ჩვენს პრეზიდენტს სცოდნია რამე, ბატონო გრიგოლ?!

## არცთუ რიტორიკული შეკითხვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მედვედევმა მიხეილ სააკაშვილი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.**

**რა თქმა უნდა, არ არის ეს მთლად სასურველი და მისასალმებელ-გასახარებელი ფაქტი, მაგრამ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა-გამოცხადებასთან შედარებით ბევრი არაფერია, ცხადია!**

ამიტომ ამას ზოგადად არც ჩვენი საზოგადოებრიობა შეუშფოთებია დიდად და არც ქართველი პოლიტიკოსები. ის კი არა, ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთმა „მედვედთა“ მისამართით, შესაძლოა, ზვიადაურივით ჩაილაპარაკა კიდეც, — ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადაო!

მაგრამ, თუ ერთ ფრთიან ფრაზას **„უკუღმა“** წავიკითხავთ, ასეთ რამეს მივიღებთ: **რაც ხარს ეპატიება, იუპიტერს არ ეპატიება.**

ანუ ის, რაც რიგით მოქალაქესა და „უჩინო“ პოლიტიკოსს შეიძლება ეპატიოს, დიპლომატს არამცთუ არ ეპატიება, არც ეკადრება!

დიპლომატიაო, გადატანითი მნიშვნელობით ხომ ისეთ ადამიანზე იტყვიან, რომელიც სხვებთან ურთიერთობაში მოხერხებულად იქცევა და მოქმედებს?

პროფესიონალ დიპლომატს კი სწორედაც რომ მოეთხოვება ამგვარი ქცევა-მოქმედება თუ შოთასეული, ხვრელით გველის გამომყვანი ტკბილად მოუბარი ენის გამოყენება, თორემ **გინება თუ დაგინება ხომ არადიპლომატებსაც ეხერხებათ და ხშირადაც მოგვისმენია თუნდაც შარშან გაზაფხულზე გამართული მიტინგების ტრიბუნიდან!**

რატომ ვამბობ ამას?

**გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განათლება დაუწუნა მედვედევს** — ხეირიანად არც იცის, რას ნიშნავს, როდის და როგორ უნდა გამოიყენოს ტერმინი „პერსონა ნონ გრატა“, **ეს ოცი წლის წინათ უნდა ესწავლაო.**

ანუ დაახლოებით ისე გამოუვიდა, ერთი ჩემი ნაცნობი რომ ეტყოდა ხოლმე უვიცობაში გამოჭერილ ტიპს, — დაიწვა ის სკოლა, რომელშიც გისწავლია და ატესტატი მიგიღიაო.

თუ ბატონი გრიგოლი იმას გულისხმობდა, რომ ლათინური გამოთქმა **„პერსონა გრატა“** პირდაპირი გაგებით ნიშნავს **ამა თუ იმ სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლად**



**გასაგზავნ პიროვნებას, რომლის კანდიდატურაც ამ სახელმწიფოს მთავრობას სასურველად მიაჩნია,** ხოლო **„პერსონა ნონ გრატა“ პიროვნებას, რომლის კანდიდატურა არასასურველად არის მიჩნეული, უარყოფილია,** მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ არა მგონია ასეთი გამოცდილი დიპლომატი, უკაცრავად და, ასე პრიმიტიულად და სწორხაზოვნად აზროვნებდეს.

ხოლო თუ მაინც მართლა ასეა, მაშინ ერთი რამ მინდა ვკითხო ბატონ გრიგოლს: **ამ ორიოდე წლის წინათ, როდესაც განმუხურის ტერიტორიაზე გავეშებულმა მიხეილ სააკაშვილმა რუსი „მშვიდობისმყოფლების“ სარდალზე, გენერალ ჩაბანზე თქვა, — პერსონა ნონ გრატად ვაცხადებ და დაუყოვნებლივ დატოვოს საქართველოს ტერიტორიაო,** რა გამოდის, თქვენეული „არშინით“ **მიხეილ სააკაშვილიც გაუნათლებელია,** მასაც არ სცოდნია, როდის და როგორ უნდა გამოიყენოს ეს გამოთქმა, — **და, იმ ერთი ჩემი ნაცნობისა არ იყოს, ის სკოლაც და უმაღლესიც უნდა დავწვათ, სადაც მას უსწავლია და ატესტატ-დიპლომ-სერტიფიკატი აუღია?**

იქნებ ძალიანაც ვაჭარბებ, ბატონო გრიგოლ, მაგრამ, კიდევ ერთხელ უკაცრავად და, პროფესიონალ დიპლომატს, ჩემი აზრით, უფრო მეტი თავდაჭერილობა და დიპლომატია მართებს რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურზე ლაპარაკისას. ნუთუ არ შეიძლებოდა მედვედევის „გაუნათლებლობის“ იმგვარად „ჩვენება“, რომ მისთვის პიროვნული შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა?

დიპლომატიაში ხომ არსებობს ამის მსგავსი აზრების გამოხატვის მრავალი „შემოვლითი გზა?“ მაგალითად, ერთი შეხედვით, „უწყინარი“ ფრაზა — „შეშფოთება“, რომელსაც ხშირად გამოთქვამენ ხოლმე დასავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოში არსებული სიტუაციის განხილვისას, „მდაბიურ“ ენაზე ხომ აღშფოთებაზე ბევრად მეტსაც ნიშნავს?

**არ შეიძლება, სახალხოდ ბრიყვი და გაუნათლებელი უწოდო „მედვედს!“ არა იმიტომ, რომ მან, ამით განრისხებულმა, შესაძლოა ტორიც შემოგარტყას, არამედ იმად, რომ ეს, უწინარესად, ამის მთქმელს გამოაჩენს ნაკლებად კულტურულ ადამიანად, რაც სინამდვილეში, საბედნიეროდ, სულაც არ არის ასე!**

**არც ის შეიძლება და ვარგა, აქაოდა „იუპიტერს“ ვასიამოვნოთო, „ხარზე“ უკულტუროდ მოვიქცეთ!**

**რუსლან რუსია**

ვიდეოხიდი

# სააკაშვილმა იანუკოვიჩს გაპრეზიდენტება მიულოცა...

# კონფლიქტი მოგვარებულია?!

## რას ნიშნავს უკრაინის არჩევნები საქართველოსთვის?

**უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნებში, ქართველების მიერ ატეხილი სკადალის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილს გამბედაობა ეყო ვიქტორ იანუკოვიჩისთვის გამარჯვება მიელოცა. ეს უწყინარი ჟესტი კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ახალი პრეზიდენტის გარემოცვას წყენა გულში არ ჩაედო და მიტევება ეცადა. ამის გამოხატულება იყო რეგიონების პარტიის წევრის ლეონიდ კოჟარას განცხადება, რომელიც მან „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართული ვიდეოხიდის დროს გააჟღერა: „თარგამაძის განცხადებები უკრაინელი ხალხისთვის ძალიან დამამცირებელი იყო, მაგრამ არა უშავს. ჩვენც სენტიმენტალური ერი ვართ და ესეც გვესმის. სააკაშვილმა იანუკოვიჩს გაპრეზიდენტება მიულოცა, კონფლიქტიც მოგვარებულია“.**

კონფლიქტის მოგვარება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაში ყველაფერი იგივე დარჩება. თბილისსა და კიევს შორის გამართულ ვიდეოხიდზე ბევრი ითქვა ორი ქვეყნის მომავალზე. თბილისიდან მოწვეული იყვნენ ექსპერტები: **რამაზ საყვარელიძე, სოსო ცინცაძე და თორნიკე შარაშენიძე,** ხოლო კიევის ოფისს სტუმრობდნენ **ლეონიდ კოჟარა** — რადას საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **ვლადიმერ კორნილოვი,** დსთ-ს უკრაინის ინსტიტუტის დირექტორი **კონსტანტინე მატვიენკო** — კორპორაცია „გარდიკას“ ხელმძღვანელი.

რას ნიშნავს უკრაინის არჩევნები საქართველოსთვის? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ლეონიდ კოჟარა შეეცადა. ის ქართულად მიესალმა აუდიტორიას: „გამარჯობა, თბილისი!“ და აღნიშნა: „უკრაინის პრიორიტეტები არ შეიცვლება, უბრალოდ, იქნება ახალი აქცენტები და ეს არის რუსეთი. **უკრაინის თვრამეტწლიან სწრაფვას ევროინტეგრაციისკენ**









**საფრთხე არ ემუქრება, რადგან ჩვენ არა ვართ აზიური ქვეყანა, მაგრამ გასათვალისწინებელი იქნება ახალი რეალობა.**

სამწუხაროდ, უკრაინამ ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, ამიტომაც უახლოეს წლებში ჩვენ ევროკავშირის წევრი ვერ გავხდებით. გამყინვარების პროცესი გრძელდებოდა რუსეთთან და მუდმივად კონფრონტაციის რეჟიმში ვიმყოფებოდით. იუშჩენკო პრეზიდენტობისას არცერთხელ ჩინეთში არ ჩასულა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს დაბალანსებული, მრავალწახნაგოვანი ინტერესები გლობალურ პოლიტიკაში. ეს ეხება რუსეთს, ინდოეთს, ლათინური ამერიკის ქვეყნებს. უნდა აღდგეს ეკონომიკური ურთიერთობები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან, ყაზახეთთან, ბელორუსთან. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ურთიერთობა იქნება მეგობრული, კეთილმეზობლური და პარტნიორული“.

ქართველმა ექსპერტებმა დასძინეს, რომ ვიქტორ იანუკოვიჩი პრაგმატული პოლიტიკოსია. თორნიკე შარაშენიძემ აღნიშნა, რომ სხვა თუ არაფერი, ახალმა პრეზიდენტმა წინამორბედის შეცდომებზე ბევრი ისწავლა. მაგრამ ასევე უსაყვედურა იმის გამო, რომ სააკაშვილ-იუშჩენკოს ნათესაური ურთიერთობების მიუხედავად, უკრაინამ საქართველოს დახმარება ვერ შეძლო აგვისტოს ომის დროს.

უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაში ბევრი საკვანძო საკითხია, რომელიც ახალი რეალობის შესაბამისად შესაძლოა გადაიხედოს. ეს განსაკუთრებით იარაღით ვაჭრობის თემას ეხება. ვლადიმერ კორნილოვის თქმით, საქართველოსთვის სამხედრო-ტექნიკური დახმარების საკითხს ნებისმიერი პრეზიდენტი გადახედავდა, რადგან ამ ვაჭრობით მიღებული შემოსავალი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება ამად ღირდეს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, უკრაინელთა აზრით, ამ ნაბიჯს ევროპელთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვება, თუმცა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების სანაცვლოდ შესაძლოა იანუკოვიჩმა ესეც გააკეთოს.

ამ თემას რამაზ საყვარელიძის კომენტარი მოჰყვა: „უკრაინასა და საქართველოს თითქმის საერთო მახასიათებელი პრობლემები აქვს, ბევრ საკითხს ახლავს კითხვის ნიშანი, მაგრამ ჩემთვის მთავარია ერთი, როგორია თავად რუსეთის მიდგომა უკრაინის ახალი რეალობისადმი. თუ უკრაინა არ დათმობს, ის არ იქნება რუსეთისთვის სანდო მეგობარი და თუ ყველა კარტს გაუშლის, მაშინ ის დაკარგავს თავის სახეს“.

შედარებით კრიტიკული იყო „გარდიკას“ ხელმძღვანელის პოზიცია. მატვიენკომ იუშჩენკო სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინებაში დაადანაშაულა, რასაც, მისი აზრით, ახალი პრეზიდენტი გააგრძელებს. ყოველგვარი ოპტიმიზმის გარეშე ვუყურებ უკრაინის მომავალს, — აღნიშნა მან.

საუბარი შეეხო სავიზო რეჟიმის შემოღებას, თუმცა უკრაინელმა ექსპერტებმა ეს ვარაუდი უარყვეს. როგორც იქ ითქვა სუამი-ს რეორგანიზაციაც დღის წესრიგში დადგება, რადგან ეს იყო ორგანიზაცია რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ენერგოპროდუქტების უზრუნველყოფა უსაფრთხოების თვალსაზრისით ამ ორგანიზაციას მაინც არ შეუძლია.

დაბოლოს, როგორ შეიცვლება უკრაინის დამოკიდებულება ნატოს მიმართ. ლეონიდ კოჟარა ამბობს, რომ **„ნატოში შესვლის თემა დღეს უკრაინაში არ დგას. ნატო ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს, ჩვენთან კი 15 ატომური რეაქტორი დგას და სრულიად ბუნებრივია, რომ ტერორისტები ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ დაიწყებენ. რაც მთავარია, თქვენც კარგად უნდა გაიგოთ, რომ ნატო არ წყვეტს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხს“.**

**თეა მოსია**

მურად ალაშვილის ფოტო.

ვარაუდი

## რამაზ კლიმიაშვილი: „სააკაშვილმა, შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უგულავა ჭანტურიათი ჩაანაცვლოს“



**პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის ვარაუდით, „თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატის გიგი უგულავას მაღალი რეიტინგით შეშფოთებულმა მიხეილ სააკაშვილმა შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოქმედი მერი გია ჭანტურიათი ჩაანაცვლოს“.**

„მმართველმა გუნდმა შესაძლოა, გიგი უგულავა მერობის კანდიდატად არ დაასახელოს. თბილისის მოქმედ მერს დღეს ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს, რომელიც ახლაც ყოველდღიურად იზრდება, ეს კი საქართველოს ხელისუფლებას, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს და სახელისუფლო გუნდის ზოგიერთ სხვა წევრსაც აღიზიანებს და აშინებს. მთავრობაში კარგად იციან, რომ პირდაპირი წესით არჩევის შემდეგ უგულავას პოლიტიკური პოზიციები კიდევ უფრო გამყარდება, რაც მმართველი ძალის ისტერიას იწვევს. არსებობს ძალზედ რეალური შესაძლებლობა, რომ სააკაშვილმა უგულავა ამ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს და მოედანზე ახალი მოთამაშე შემოიყვანოს“, – განუცხადა „პირველს“ კლიმიაშვილმა, რომლის ვარაუდით, „ასეთ შემთხვევაში თბილისის მერობის კანდიდატთაგან აქცენტი შესაძლოა, „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ წარდგენილ გია ჭანტურიაზე გაკეთდეს“.

„ჭანტურია არა ოპოზიციის, არამედ სწორედ ხელისუფლების სათადარიგო კანდიდატია და მისი პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურება სწორედ ხელისუფლების ტაქტიკური ნაბიჯი იყო. გასათვალისწინებელია, რომ გიგი უგულავა მმართველი გუნდის მერობის კანდიდატად ამ დრომდე არ დასახებულა. წინ ჯერ კიდევ სამი თვეა და სახელისუფლო ბერკეტებით ჭანტურიას რეიტინგის გაზრდაში წარმოუდგენელი არაფერია“, – განმარტავს კლიმიაშვილი, რომელსაც მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში უგულავას სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების პროგნოზირება უჭირს.

მმართველი პარტია კი მერობის საკუთარი კანდიდატურის ოფიციალურად წარდგენას მართლაც არ ჩქარობს. კულუარებში ამ ფაქტს იმ გარემოებას უკავშირებენ, რომ ხელისუფლებაში გიგი უგულავას კანდიდატურას საკმაოდ წონიანი მოწინააღმდეგეები ჰყავს ძალოვანი მინისტრების, კერძოდ, მერაბიშვილ-ადეიშვილის გუნდის სახით. სახელისუფლებო გუნდში კი ამ დაპირისპირებას არ ადასტურებენ. როგორც „პირველს“ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა, დეპუტატმა ზურაბ მელიქიშვილმა განუცხადა, მერობის კანდიდატი ოფიციალურად იმ ვადებში იქნება წარდგენილი, რომელიც კანდიდატების რეგისტრაციისთვის კანონით არის განსაზღვრული. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თბილისის მერობის კანდიდატის წარდგენა კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30 დღისა ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაპირებულ 30 მაისს ჩატარდება, პოლიტიკურ სუბიექტებს მერობის სასურველი კანდიდატების დასახელების ვადა 30 აპრილამდე აქვთ. მელიქიშვილის განმარტების გათვალისწინებით კი, პრეზიდენტის პარტიის მიერ კანდიდატის ოფიციალურ წარდგენას აპრილის ბოლოსთვის უნდა ველოდოთ.

სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის ამომრჩეველს მერობის კანდიდატთან ერთად, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატსაც წარუდგენს, რომელიც მათ საარჩევნო სიას სათავეში უნდა ჩაუდგეს. ამ პოსტზე კულუარულად პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი სახელდება.

**„პირველი“**

პროტესტი

## შემოქმედებითი კავშირის – საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის

## განცხადება

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმი პროტესტს უცხადებს აფხაზეთის კულტურის სამინისტროს დიმიტრი ჯაიანის სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრის მმართველის თანამდებობიდან განთავისუფლების გამო. ეს გადაწყვეტილება არ არის ნაკარნახევი შემოქმედებითი მოსაზრებებით და ქმნის თეატრის დაშლის წინა პირობას, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. შეიქმნა დაძაბული ვითარება, რომელიც ან უნდა განვითარებულიყო შემდგომი დაპირისპირების გაღრმავებით, ან მისი განმუხტვით. ასეთ ვითარებაში დიმიტრი ჯაიანმა მიიღო გადაწყვეტილება თეატრში მსახიობად მუშაობის გაგრძელების თაობაზე, რამაც, ჩვენი აზრით, უნდა მოხსნას შემდგომი დაპირისპირებისა და არაჯანმრთელი ატმოსფეროს გაღრმავების პერსპექტივა და გადაარჩინოს თეატრი დაშლასა და შემოქმედებით დაღმასვლას.

მოვუწოდებთ თეატრის თანამშრომლებს, რათა დიმიტრი ჯაიანის ეს ნაბიჯი ჩათვალონ კონფლიქტის დასრულებად და მთელი ძალისხმევა მიმართონ შემოქმედებითი საქმიანობისკენ. სრული პასუხისმგებლობით ვუცხადებთ თეატრის კოლექტივს და საზოგადოებრიობას, რომ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრი უმნიშვნელოვანესი კერაა პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით, ის ერთგვარი სიმბოლოა აფხაზეთში დაბრუნებისა და არავის აქვს უფლება ეჭვქვეშ დააყენოს მისი წარმატებული მომავალი.

პრეზიდიუმის სახელით

სთს თავმჯდომარე

**გიგა ლორთქიფანიძე.**

გამაფრთხილებელი აქცია

## „მაგთი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინი“ ვანოს სასმენ ყურებად არის ქცეული

**ლეიბორისტულმა პარტიამ მხარდამჭერებთან ერთად გამაფრთხილებელი აქცია გამართა პეკინის ქუჩაზე მდებარე „მაგთის“ ოფისთან. ყველაზე მაღალი ტარიფი, მათი თქმით, მობილურ ოპერატორებზე საქართველოშია. ასევე, გააპროტესტეს სატელეფონო საუბრების მოსმენა ხელისუფლების მხრიდან.**

**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის წევრი:**

„სიმბოლურად შევიკრიბეთ ერთ-ერთ ბანდიტურ ორგანიზაციასთან, რომელიც დაკავებულია ჩვენი მოქალაქეების ჯიბის დაცარიელებით. არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი მაღალი ტარიფი მობილურ ოპერატორებზე. მოვითხოვთ, ტარიფის მინიმუმ 5 თეთრამდე დაწევას, ასევე ხალხის საუბრების მოსმენის და მათი შანტაჟის შეწყვეტას.

ვაცხადებ, რომ ამ ორგანიზაციის უკან დგას მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მუშაობდა საბჭოთა უშიშროებაში „სვიაზისტად“. ის არის ამ საქმის სპეციალისტი. მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი გახდა, ვანო მერაბიშვილთან ერთად ფრთები გაშალა და მოიცვა საქართველოს ყველა მობილური ოპერატორი. „მაგთი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინი“ ვანოს სასმენ ყურებად არის ქცეული.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად ხელისუფლებას ვაძლევთ 10 დღის ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივმართავთ მსოფლიოს ყველა წამყვან მობილურ ოპერატორებს, რომ საერთაშორისო მასშტაბით მიიღონ ზომები საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. პარალელურად კი გავმართავთ აქციებს მათ საცხოვრებელ ბინებთან და ნათესავების სახელზე გაფორმებულ სასახლეებთან“.

**თინათინ ბორცვაძე**



მიზანი

## ეკონომიკა ისევ იფურჩქნება...

**საქართველოში რომ ფინანსური კრიზისი კარგა ხანია დავძლიეთ, ეს ჩვენი ტელეარხებიდან, პრეზიდენტის წყალობით, უკვე ვიცით.** მართალია, ბოროტი ხმები ამბობენ, ქვეყანას, რომელსაც ეკონომიკა საერთოდ არ გააჩნია, ეკონომიკური კრიზისი როგორ შეეხებოდაო, მაგრამ რაც მართალია მართალია, სანამ ეს ავადსახსენებელი მსოფლიო კრიზისი ჩვენც მოგვეწვდებოდა, საქართველოს საბანკო სექტორს საწუწუნო არაფერი ჰქონდა, არც კრედიტორთა სიმცირეს უჩიოდა და არც – მეანაბრეთა. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ – ერთ დღესაც, „კრედიტინფოში“ (ე. წ. შავ სიაში) მოხვედრილ ადამიანთა რიცხვი ერთბაშად გაიზარდა და ბანკებიც და მათი კლიენტებიც, მართლაც, შავ დღეში აღმოჩნდნენ.



თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც მძიმე პერიოდში ასე, თუ ისე, სტაბილურობა შეინარჩუნა. მაგალითად, „თიბისი ბანკი“, რომელმაც მართლა სესხის გაცემის პროცედურაც გაართულა და საპროცენტო განაკვეთიც გაზარდა, მაგრამ ძირითადი კლიენტები არ დაუკარგავს და საპროცენტო იმიჯიც განიმტკიცა.

დღეს კი, როცა ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია და ბიზნეს-ორგანიზაციები, სამშენებლო კომპანიები და, რა თქმა უნდა, ბანკები, ფინანსურ ოპერაციებში უფრო და უფრო მეტ სითამამეს იჩენენ, „თიბისი ბანკმა“ გადაწყვიტა პოზიციების კიდევ უფრო გამყარება და მომხმარებელს სიახლეს სთავაზობს.

8 ნაბიჯი სურვილების ასრულებისკენ – ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელსაც ბანკი სამი თვის განმავლობაში განახორციელებს. კერძოდ, „თიბისი ბანკში“, როგორც მისი პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე აცხადებს, სესხების აღება გაცილებით მარტივი და ხელმისაწვდომი ხდება. დღეიდან მხოლოდ 3 თვით, ბანკი აცხადებს SALE აქციას, რაც ნიშნავს, რომ აქციის პერიოდში „თიბისი ბანკი“ სტანდარტულზე 1 პროცენტით ნაკლები საპროცენტო განაკვეთით გასცემს იპოთეკურ, სამომხმარებლო და ავტოსესხებს. ამ გზით, SALE აქციის პერიოდში საბანკო განაკვეთები გაუთანაბრდება იმ განაკვეთებს, რაც იყო 2008 წლის აგვისტოს ომამდე. ეს აქცია 1 ივნისამდე გაგრძელდება.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე, „თიბისი ბანკის“ პრეზიდენტი:** – იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური კრიზისი ნელ-ნელა დასასრულს მიუახლოვდა და ბაზარზე უკვე შეინიშნება უძრავი ქონებისა და ავტომობილების გაძვირება, „თიბისი ბანკმა“ გადაწყვიტა, რომ ამგვარი SALE აქციით შანსი მისცეს დაინტერესებულ ადამიანებს, რათა მოასწრონ და შეიძინონ ბინა თუ ავტომობილი, ჯერ კიდევ ხელმისაწვდომ ფასად, ყველაზე იაფი სესხით.

ჩვენი ბანკი ახალი კამპანიის განმავლობაში, კვირაში ერთხელ, მომხმარებელს ამცნობს სესხთან დაკავშირებულ 8 სიახლეს. დღევანდელი მდგომარეობით, „თიბისი ბანკს“ აქვს მაღალი ფინანსური მაჩვენებლები, რაც საშუალებას აძლევს გამოიყენოს საკუთარი ძლიერი პოზიციები იმისთვის, რომ დააფინანსოს კლიენტები ხელსაყრელი პირობებით, ხელი შეუწყოს მათ ფინანსურ გაძლიერებას და მათი სურვილების ასრულებას.

არის კიდევ ერთი სიახლე: „თიბისი ბანკში“ სესხის აღება ასევე შესაძლებელი გახდა შავ სიაში მოხვედრილი იმ კლიენტებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდნენ ურჩ გადამხდელთა სიაში და დღეისთვის უკვე სრულად აქვთ დაფარული ბანკის მიმართ დავალიანება.

მომავალში ალბათ კიდევ უკეთესი იქნება, თუ დაძლეული ეკონომიკური კრიზისი ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც შეეხებათ და ისინიც შეძლებენ ათასგვარი საბანკო პროდუქტებით სარგებლობას, თორემ პროდუქტი იყოს და ვერავინ იყიდოს, ასე არაფერი გამოვა.

**ანა წიწილაშვილი**

ადამიანი დროში

# „დენსი“ აღმავლობის გზაზე





„დენსის“ კაბინეტებში

**„დენსის“ სტომატოლოგიური კლინიკის ორი ფილიალი რუსთავში, თითო – გარდაბანსა და თბილისში, ულტრათანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, იმგვარი სამედიცინო დაწესებულებებია, ნებისმიერი მაღალგანვითარებული ევროპული სახელმწიფოც რომ მოიწონებს თავს.**

„დენსის“ თანამშრომლებსა და პაციენტებს აღარ აკვირვებთ საზღვარგარეთულ ფილმებში ნანახი კბილის სამკურნალო დაწესებულებები, საიდანაც ადამიანები ბედნიერი სახეებით გამოდიან.

...და პირველ იყო კაცი – ძიების, ფანტაზიის, შრომის, მოძრაობის, სურვილების და თავისი პროფესიის ფანატიკურად ერთგული **გიორგი ქოჩიაშვილი,** რომელმაც 1998 წელს რუსთავში, კოსტავას ქუჩის 11 ნომრის პირველ სართულზე განთავსებულ ორ პატარა ოთახში ორი თანამშრომლით დაიწყო საქმიანობა. თავად მაღალპროფესიონალმა, კოლეგებთან ზეინაბ ქოჩლაძესა და ქეთევან ოლიაშვილთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მომსახურების ხარისხს მიაქცია, რითაც ბიოგრაფიის დასაწყისშივე პაციენტთა დიდი რაოდენობა მიიზიდა.

„დენსის“ ათწლიანი ბიოგრაფია სავსეა უმნიშვნელოვანესი ფაქტებით, რომელთა დიდი უმეტესობა პირდაპირ და უშუალოდ თავკაცის გიორგი ქოჩიაშვილის სახელსა და მსოფლიო სტომატოლოგიურ მედიცინაში უკანასკნელ ათწლეულებში მომხდარ ლამის რევოლუციურ ძვრებს უკავშირდება ქიმიისა და ფიზიკის მეცნიერების ჩართვითა და კომპიუტერული მიღწევებით.

პედაგოგების თემურ და ლალი ქოჩიაშვილების ოჯახში ზნეობრივი აღზრდისა და განათლების სანიმუშო სკოლა გაიარეს ძმებმა გიორგიმ და ვალერიმ. ჯერ კიდევ მცირეწლოვანებს მამა ფიზიკურად ამუშავებდა სახლში თუ გარეთ, სად არ ატარებდა დედა ძმებს – ინგლისურზე, ჩოგბურთზე, ჭადრაკზე... ეზოში და ქუჩაში თანატოლებთან თამაში სანატრელი ჰქონდათ ბიჭებს.

გიორგიმ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ერთდროულად საუკეთესო, მაგრამ მეამბოხე სტუდენტის სახელი მოიპოვა. ვერ ეგუებოდა უსამართლობას.სამედიცინოს პარალელურად იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიური ფაკულტეტის სტუდენტიც ხდება და ინგლისური ენის საუკეთესოდ მცოდნე რამდენჯერმე საზღვარგარეთაც მიემგზავრება ოფიციალური ჯგუფის მთარგმნელად.

ეს ყველაფერი წლების მიღმაა დარჩენილი, მაგრამ ენის ცოდნა და დიპლომატიური ფაკულტეტის დიპლომი, შემდგომ არაერთგზის დაეხმარა. ყოველ წელს მონაწილეობს საერთაშორისო სამედიცინო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

1989 წელს მან სტაჟირება გაიარა შვეციაში კბილის ინპლანტაციის ფუძემდებლის ბრონემარკის სტომატოლოგიურ კლინიკაში და იმთავითვე დაიწყო ინოვაციის „დენსში“ განხორციელებაზე ფიქრი.

გიორგი ქოჩიაშვილი წელიწადში ორჯერ მაინც მიდის საზღვარგარეთ მიწვევით ან პირადი სურვილით. საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის ცნობილ კლინიკებში მუშაობა და მსოფლიო დონის სპეციალისტებთან ურთიერთობა ქართველი ექიმისთვის ცხოვრების წესად და მიზნად იქცა.

...ოროთახიანი პირველი კლინიკა კოსტავას ქუჩის 11-ში, სულ ჩქარა ორ სართულზე განთავსდა, მერე ფილიალებიც გაიხსნა. მეორე – ისევ რუსთავში, ტაშკენტის ქუჩაზე, მესამე – გარდაბანში, რაიონულ ცენტრში, მეოთხე, წლეულს – თბილისში... ისე რომ, „დენსი“ დღეს სტომატოლოგიური მინიინდუსტრიაა, რომელსაც საქართველოში ბადალი ცოტა ჰყავს. გიორგი ქოჩიაშვილის მასშტაბის, რეგალიების, განათლების მქონე სპეციალისტიც ბევრი არ მოიძებნება საქართველოში. იგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია და თავისი მეცნიერულ-თეორიული შრომებით კბილის ქირურგიასა და ორთოპედიაში აოცებს კოლეგებს.

„დენსის“ მაღალხარისხიანი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი ორთოპედიული, თერაპიული, ქირურგიული განყოფილებები, საოპერაციოები, კომპიუტერულ-საინფორმაციო კაბინეტი, ბავშვთა სტომატოლოგიური განყოფილება ოთხივე ფილიალში პაციენტთა მაღალხარისხიან და უმტკივნეულო მომსახურების გარანტიას იძლევა. უდიდესი ყურადღება ექცევა სისუფთავესა და ესთეტიკას, რაც ყველა კატეგორიის, განსაკუთრებით კი პატარა პაციენტებისთვისაა გათვლილი.

სულ ახლახან „დენსის“ ე. წ. სათაო კლინიკაში ფრიად სერიოზული სიახლე განხორციელდა. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფილირებულ კლინიკად გადაიქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ გახსნილ რეზიდენტურაში „დენსის“ ექვს საუკეთესო და გამოცდილ სპეციალისტთან გაივლიან რეზიდენტურის კურსს მომავალი ექიმები, ხოლო მათი აქაური პედაგოგები ერთდროულად სამედიცინო უნივერსიტეტის შტატში იქნებიან.

„დენსის“ მაღალხარისხიან მომსახურებასა და პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ გარდაბანში, რუსთავსა და თბილისში (ჯანაშიას ქუჩაზექ პოტენციურ პაციენტთა 75 პროცენტი სწორედ „დენსს“ ირჩევს სამკურნალოდ. მაინც რა მოსწონთ მათ?ყურადღება, სითბო, გულისხმიერება, ტკივილგარეშე მკურნალობა, კორექტულობა, ოპერატიულობა, სიმშვიდე და პაციენტის მიმართ თანაგრძნობა.

თბილისში, ჯანაშიას ქუჩის №18-ში მდებარე ფილიალს გიორგის ძმა უძღვება, რუსთავში, ტაშკენტის ქუჩაზე მდებარე ფილიალს კი გიორგის მეუღლე, ნინო გეგეჭკორი.

„დენსში“ კბილის მკურნალობისა და ქირურგიის ყველა გზა და საშუალებაა, მაგრამ რაც ძალიან შესაშურ დონეზე კეთდება, ეს კბილის ინპლანტაციაა. უნდა ითქვას, რომ ამ სიახლით უკვე კარგა ხანია სარგებლობენ „დენსის“ პაციენტები რუსთავში, გარდაბანში, თბილისში.

ნატო მოსიძე, ნუკრი კაციტაძე, მზიური აბაშიძე, კოტე ხმალაძე, დათო იშხნელი, ირინა იაშვილი, ვალერი პატარაია, კოტე ღვალაძე და სხვები „დენსის“ ცენტრალური ფილიალის თანამშრომლები არიან და მიაჩნიათ, რომ საუკეთესო პირობებში უხდებათ მუშაობა. სწორედ აქ და „დენსის“ სხვა ფილიალებში ხშირად იმართება შეხვედრები და სამეცნიერო წარმომადგენლობითი ღონისძიებები სხვა ქვეყნებიდან მოწვეულებთან სათანამშრომლოდ, თვითონ „დენსის“ ექიმებიც მიდიან საზღვარგარეთ სტაჟირებისათვის.

ფართო სამეგობრო წრე აქ თუ საზღვარგარეთ, ერთგული და საიმედო კოლეგები და თანამშრომლები, მადლიერი პაციენტები – ურთიერთობათა ჯაჭვი რთულია, საინტერესო, ანგარიშგასაწევი და ყურადღებამისაქცევი. გიორგი ქოჩიაშვილი ყველაფერს ასწრებს კომპიუტერული მეხსიერების წყალობით, ქრისტიანული თავმდაბლობით, საოცრად დინამიკური ბუნებითა და გენეტიკურად თანდაყოლილი სიყვარულით ნიჭით.

ცალკე თემაა – გიორგი შვილის, მეუღლისა და მამის ამპლუაში.

არის მისაბაძი მეუღლე და მეგობარი, საოცრად ყურადღებიანი და მოსიყვარულე მამა ოთხი შვილისა. 22 წლის ლალი მამის გვერდზე მუშაობს „დენსში“, ე. წ. საინფორმაციო მენეჯერია; თამარი 19 წლისაა და იესემის უნივერსიტეტის სტუდენტია. ნიკა 17 წლისაა, კარგად სწავლობს და ოჯახის საქმეებსაც კაცივით უძღვება პატარა ირაკლისთან ერთად.

თავისუფალ დროს გიორგი ისევ ძველებურად ჩხირკედელაობს, თავისი ხელით აკეთებს ყველაფერს სახლში, ეზოში... სანადიროდ მიეშურება შირაქში, ქვემო ქართლში თუ ლაგოდეხში, შვილებთან ჩოგბურთის სათამაშოდაც იცლის.

და კიდევ – ძალიან უყვარს ქართული პოეზიის კითხვა.

რუსთაველებთან შეხვედრა და ბაასიც ძალიან ახალისებს. აქ ყველაფერი ემშობლიურება და მოწონს, ამ ქალაქისთვის ბევრი რამ ემეტება.

წინ „დენსის“ შემდგომი აღმავლობის გზაა, რაც უშუალოდ და პირდაპირ გიორგი ქოჩიაშვილის ნიჭიერებას და ქართველობას უკავშირდება.

„დენსიდან“ მუდამ ბედნიერი სახით გამოდიან პაციენტები...

**ლია მარტაშვილი**



გიორგი ქოჩიაშვილი ოჯახთან ერთად

ძირეული ტენდენციები

## „ჰუმან რაითს ვოტჩი“ „რუსთავი-2“-სა და „იმედს“ ხელისუფლების მხარდამჭერებად მიიჩნევს

**ადამიანის უფლებების დამცველი ყველა ავტორიტეტული და გავლენიანი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია 90 ქვეყანაში მიმოიხილავს ადამიანის უფლებების ძირეულ ტენდენციებს. ანგარიშში საქართველოს 4 გვერდი აქვს დათმობილი.**

მოხსენების შესავალშივე აღნიშნულია, რომ მიუხედავად აშშ-სა და ევროკავშირის მილიონობით დოლარი დახმარებებისა, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, განსაკუთრებით კრიტიკულად არის მოხსენიებული პოლიციის, მართლმსაჯულებისა და მედიის თავისუფლების საკითხები.

მოხსენიებულია პოლიციის უფლებამოვალეობების გადამეტების ფაქტები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მოხსენებაში ისიცაა აღნიშნული, რომ მშვიდობიან მოქალაქეებს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნიც არბევდნენ. ისინი გვიან ღამით ქუჩაში ხვდებოდნენ სახლში მიმავალ მიტინგის აქტივისტებსა და უბრალოდ შეკრებაზე მისულ რიგით მოქალაქეებს და ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათ. პროკურატურამ ამგვარ დანაშაულებზე 80-მდე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. შედეგი არ ჩანს. გამოდის, რომ თავდასხმებს ხელისუფლება უჭერდა მხარს, ან, სულაც ეხმარებოდა მანიფესტაციების დარბევაში – ასკვნის „ჰუმანს რაითს ვოტჩი“.

საერთაშორისო ორგანიზაციას სერიოზულ ლაფსუსად მიაჩნია ცვლილებები ადმინისტრაციულ კოდექსში, როდესაც წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელთა დაუმორჩილებლობისთვის დაპატიმრების ვადა 30-დან 90 დღემდე გაიზარდა. საერთაშორისო ორგანიზაციას მიაჩნია, რომ კანონის გამკაცრება საპროტესტო აქციებზე საპასუხოდ მიიღეს.

რაც შეეხება მასმედიის მდგომარეობას, ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ის ჩვენთან მრავალფეროვანია. პრობლემას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტრანსლირებადი საზოგადოებრივი ტელევიზია ხელისუფლებას აქვს მონოპოლიზებული. „რუსთავი-2“ და „იმედი“ მთავრობის მხარდამჭერ პოლიტიკას აწარმოებენ. მოხსენების თანახმად, მედიის საკუთრების შესახებ გამჭვირვალობა კვლავ პრობლემად რჩება – ასკვნის „ჰუმანს რაითს ვოტჩი“.

მიუხედავად უცხოური კაპიტალით აშენებული არაერთი საპყრობილისა და პრეზიდენტის მიერ რამდენჯერმე გამოცემული შეწყალების აქტისა, გადატვირთულობა სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში კვლავ გადაულახავ პრობლემად რჩება –ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში და იქვე კეთდება დასკვნა, რომ გასულ წელთან შედარებით სასიკეთო ძვრები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, ზოგიერთ სფეროში უკან გადადგმული ნაბიჯებიც აღინიშნება.

**ზაზა ბილიხოძე**

SIC!

## როდის ექნება შამგონას სკოლა?

**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის ბრძოლა სამეგრელოს რეგიონში მოქმედი პარტიებიდან ყველაზე აქტიურად პოლიტიკურ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ სამეგრელოს რეგიონალურმა ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი ლოთი ქობალია) დაიწყო.**

თითქმის ყოველ კვირას ორგანიზაციის ოფისში იმართება პრესკონფერენცია, სადაც აქცენტი კეთდება მხარის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.

„სამართლიანი საქართველოს“ სამეგრელოს ორგანიზაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი მარინე დამენია ამას წინათ პრესკონფერენციაზე საგანგებოდ შეეხო ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში საჯარო სკოლის მშენებლობის საკითხს.

სკოლა უნდა აეშენებინა შპს „ვლაზს“. 2009 წლის სექტემბერში, ახალი სასწავლო წელი ახალ სკოლაში უნდა დაწყებულიყო... მიუხედავად იმისა, რომ უკვე 2010 წლის თებერვალია, სკოლა ჯერ გადახურულიც კი არ არის! აღმოჩნდა, რომ სამშენებლო ექსპერტიზამ ფირმა „ვლაზს“ დისკვალიფიკაცია მისცა, რადგანაც ვადებში ვერ ჩაეტია და შესრულებული სამუშაოებიც უხარისხო იყო.

საინტერესოა, რის საფუძველზე გაამარჯვებინეს ფირმას ტენდერში? – თქვა მარინე დამენიამ. ასევე სოფელში უნდა გაეკეთებინათ კარგი გზაც, მაგრამ... ეს დაპირებაც შეუსრულებელი დარჩა!

**ლადო ქირია,** ზუგდიდი

რეზო მიშველაძე – 70

# მწერლები ძმები ვართ...

რომ არ დაბადებულიყო რეზო მიშველაძე, ვიქნებოდით დღეს აქ, მარჯანიშვილის თეატრში? სხვა იქნებოდა მის ნაცვლად? ექნებოდა იმ ვიღაცას ის ასი, ორასი, სამასი და ასე შემდეგ, ძლიერი ნოველა, რომლებიც რეზომ დაგვიწერა? ვიქნებოდით აქ? ხარები ხომ არა ვართ, რომ სახრით ვინმეს მოვერეკეთ? – არა! მაშ, რაღა გვალაპარაკებს რეზო მიშველაძეზე ასე ხშირად? რა ძალამ მოგვხიკა, იმერლები რომ ვიტყვით, რამ? რა გაჭირვებამ, რა აუცილებლობამ? დღეს, რეზოა ჩვენი და ჩვენ ვართ რეზოსი, არ გვინდა? გვინდა? იმან იტკიოს თავი, ვინც აქ უძილობამ და თავის ტკივილმა მოიყვანა...

ეს ლექსი, 30-35 წლის წინათ მაქვს დაწერილი და „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი, ვახტანგობისას:

**სიცოცხლეში დამითმე საფლავზე მოსასვლელი,**
**მეგობარო, სამი დღე, თითზე ჩამოსათვლელი.**
**თეთრს შავად თუ იკითხავ, ჩემი ხევის**
**ყვავილებს –**
**ნუ დაშვრებით, ჩემს კუბოს მტერიც**
**ასწევს, წაიღებს,**
**მიწაყრილზე ფიცს ნუ სდებ, აქ თუ**
**გესლით მიწამლე,**
**რა წაგართვით, მითხარით, ვიდრე**
**დამდებთ ფიცარზე...**
**თითებზე აგვინთია, სიტყვა – ერის სინათლე,**
**მე თუ მიწად გინდივარ, აღარც შენ არ ივარგებ**
**დიდი მეტრის მანტიით სიბრძნეს ნუ მიქადაგებ,**
**ზურგსუკან რადა მყიდი, თუ ერთად დავიბადეთ,**
**სინათლეში დამითმე საფლავზე მოსასვლელი,**
**ძმაო, ორი-სამი დღე, თითზე ჩამოსათვლელი...**

მიშველაძე ყველა ვერ იქნება, მაგრამ იმდენს და ისეთს, რაც ჩვენს სამოცდაათწლოვან იუბილარს შეუძლია... ამისი არც თავი და არც ნიჭი ყველას არა აქვს.

პატარ-პატარაობაც რომ არ ვარგა, რეზო მიშველაძე სწორედ ერთია და იმითაა კარგზე უფრო კარგი! ურეზოობა, თანაც ზუსტად ისეთი, როგორიც რეზოა, ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, მონკავშირად თუ გადაიქცეოდა მწერალთა კავშირი, თანაც ისეთად, თოფი რომ არ სჭერია ხელში, ძაღლისთვის რომ თავზე ხელი არ გადაუსვამს, რომ არ აუფრენია და არ ჩამოუგდია მწყერი, ხოხობი, კაკაბი.. შურთხსა და ჯიხვზე ნადირობა ბევრს არ შეუძლია, მაგრამ, ფრთოსანი სიტყვა კი ჩამოუგდია უნივერსიტეტშიც, მწერალთა კავშირშიც, გადასარჩენი-დაჭრილი გადაურჩენია და გაუშვია, უსაშველო გაუპუტავს და მეგობართან ერთად დაუგლეჯია ტაფაზე გემრიელად შემწვარი, თავისი შესანიშნავი ნათელას ხელით მიურთმევია.

უმღერია კიდეც:

**ჩემო ციცი ნათელა,**
**დაფრინავ ნელა-ნელა**
**შენმა შორით ნათებამ,**
**დამწვა და დამანელა.**

## გიწვევთ!

***22 თებერვალს 16 საათზე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის რევაზ მიშველაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.***

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია კიდევ ერთხელ ულოცავს ქართული ნოველის დიდოსტატს საიუბილეო თარიღს და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს ცხოვრებასა და შემოქმედებაში.***



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** გულთბილად ულოცავს დაბადების **70 წლისთავს** გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, **შოთა რუსთაველის** და **ილია ჭავჭავაძის** პრემიების ლაურეატს, ბატონ **რევაზ მიშველაძეს,** ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მრავალმხრივ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას **ქართველი ერისა და საქართველოს სადიდებლად.**

**ღრმა პატივისცემით, ფონდის პრეზიდენტი**

**ბონდო კობაძე**

ჩემს მეუღლესაც ნათელა ჰქვია. 50 წელია ერთად ვეწევით უმძიმეს ჭაპანს. ხან მე ვარ ლაგა, ხან ის.

ის რომ მეტყვის, ეს ადგილი ამოაგდე, შენი ჩანაფიქრის შესაფერისი აღარ არისო, – მითხრა თუ არა თხუთმეტიოდე წლის წინ, ჩემმა ციცინათელამ, ავიღე ჯოხი, კუნელის, უდრეკი და მუდრეკი და წმინდა ნინოს გზაზე მიმავალ სულიერ ძმათა, ქალთა და სხვათა და სხვათა 400-კილომეტრიან ქარავანს გავყევი, მთელი საჯავახოს ტყე-ღრეს მარხვით შემოვუარე და მეორმოცე დღეს ორი ათასი წლის წინანდელი ჩემს ურია – მცხეთელ მღვდელმთავარს ელიოზს დავუჩოქე... ჩემო რეზო, ჩემო ნამდვილო მიშველაძევ, მგონია, ისევ ისე მემართება, შენზე რომ წერილი დავწერე და ჩემზე რომ გამომივიდა, გეწყინა, მაგრამ, არ იყავი მართალი და მაინც დაბეჭდე მწერლის გაზეთში, თუმცა, კარგა მაგრად გადმომკარ ტარიანი მათრახი, ზიჩის ნახატიდან რომ გვიბღვერს მაჯაზე მათრახდაკიდებული ტარიელი... აკი, გითხარი კიდევაც: ჩემო რეზო, მე თუ არ გავითავისე მეგობრის წუხილი, ან სიხარული, როგორ თანავუგრძნო, სატირლად გადავეხვიო, თუ, სამხიარულოდ ჩავკოცნო-მეთქი, ხომ გითხარი, არც ის დამიმალავს, ორმოცკაციანი იუბილე რომ შემომაწერე, აქაოდა ძმები ვართო, მწერლები, ორ კვირას უმზრახად ვიყავით, ახლა ხომ შენთანა ვარ...

**შენი**
**მამა ელიოზი**
**(მერაბ ელიოზიშვილი)**

## ძმაო რეზო!

მკითხველი თუ შეიყვარებს მწერალს, ის მის წიგნებს გულით ატარებს, ამიტომაც გააგრძელებენ თქვენი ნოველები სიცოცხლეს.

მე როგორც თქვენს ყოფილ მოადგილეს ჟურნალ „ნუგეშში“, კიდევ ერთ თვისებას მინდა გავუსვა ხაზი – სხვა შემოქმედის დანახვა და დაფასება. თუ რედაქციაში შემოვიდოდა კარგი ლექსი, მოთხრობა ან წერილი, როგორ გიხაროდა, მის ავტორს როგორ ამხნევებდი, როგორ ეხმარებოდი.

საზოგადოებრივ საქმიანობაში ხომ დაუღალავი, პირშიმთქმელი, ალალმართალი ხარ, თავისუფლად შეგიძლია გაიმეორეო ანტონ კათალიკოსის სიტყვები: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ჩემო რეზო, კიდევ ბევრ შემოქმედებით გამარჯვებას!..

**ვალერიან მამუკელაშვილი**

ეს ჩვენი ისტორიაც არის

***საუკუნეები ისე გავიდა, მასზე კეთილი სიტყვა არც ერთ ისტორიკოსს არ დასცდენია. იმპერია მის სამსახურს კი აფასებდა, ნება დართო თავის ღერბში ასეთი დევიზი შეეტანა „Без лести предан“, რაც პუშკინმა უმალ გადააკეთა „Бес, лести предан“, მწერლები, თუმცა გარკვეული სიფრთხილით (ის ხომ ყოვლისშემძლე მედროვე იყო) თავს ესხმოდნენ, სატირიკოსებს ნიშანში ჰყავდათ ამოღებული, თუმცა მის ქართულ წარმომავლობას არავინ შეხებია. პირიქით, ოფიციალური ისტორიოგრაფია უფრო „ტუზემცების“ მხარეზე იყო, ვიდრე ესოდენ მძლავრი ოსტზეელი (თუ საერთოდ დასავლეთიდან მოსული) გერმანელებისა. მედროვის სტატუსი ადრევე მოეხსნა, სხვა უფრო მძლავრმა მედროვეებმა შეცვალეს, მაშინ კი წყევლა-კრულვამ და გაკილვამ იმატა. რატომ?***

***ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება ლამის XXI საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა, როცა კარგად ცნობილმა ისტორიკოსმა კონსტანტინე რიჟოვმა, რომელსაც ეკუთვნის მრავალტომეული ყველა დროისა და ქვეყნის მონარქთა შესახებ, ეს ჩვენი ექს-ფავორიტი „ასი დიდი რუსის“ სიაშიც კი შეიყვანა. თავისთავად დიდი ხოტბაა, აბა სხვა რა არის!***

***ჩვენც ავდგეთ და, როგორც შევძლებთ, ვილაპარაკოთ ამ ნამდვილად არაორდინარულ ადამიანზე. ვნახოთ, სინამდვილეში რას წარმოადგენდა, რა საგზალი ჰქონდა...***

# „შენი რაა, რომ ახარებ…“

## ანუ გენერალი არაკჩეევი და მისი „გრუზინო“

XVIII საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის ისტორიაში არაერთმა ქართველმა გამოიჩინა თავი. მათი თავგადასავალი კარგად არის ცნობილი. ზოგი ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა, ზოგი ჩრდილოეთში სხვა გზით აღმოჩნდა. ეს სანდუნოვები (ზანდუკელები), მოურავოვები, რატიევები, ციციანოვები, იაშვილები (ერთმა მათგანმა ხომ პავლე I მოკლა) სრულიად მოსწყდნენ სამშობლოს, ზოგის გვარი კი სამუდამოდ დაიკარგა. რას არ წააწყდები! 1954 წელს დნეპროპეტროვსკში ყოფნისას ვიყიდე „საფრანგეთის ისტორია“ უკრაინულ ენაზე. ავტორს უცნაური გვარი ჰქონდა – ჯეჯულა. გავიდა კიდევ მრავალი წელი და მოსკოვის უნივერსიტეტში ამ ავტორის ძმისწული გამომეცნაურა. თურმე ნამდვილი გვარი ჯეჯელავა ყოფილა.

ქართველი აზნაური არაყიშვილები არაკჩეევებად იქცნენ. პირველმა თაობებმა ქართულიც კარგად იცოდნენ, შემდეგ კი...

ალექსეი ანდრეევიჩ არაკჩეევი (ანუ ალექსი ანდრიას ძე არაყიშვილი) დაიბადა 1768 წლის სექტემბერში, გვარდიის გადამდგარი პორუჩიკის საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში. სოფლის დიაკვანმა გრამატიკა და არითმეტიკა ასწავლა. არაკჩეევი ბავშვობიდანვე დიდი ნიჭით გამოირჩეოდა, განსაკუთრებით მათემატიკაში, მასწავლებლებს აოცებდა დიდი რიცხვების სწრაფად გამრავლებით. 1783 წელს მამამ გადაწყვიტა ალექსი პეტერბურგის საარტილერიო და საინჟინრო შლიახტურ კორპუსში შეეყვანა. მამა-შვილი მცირე თანხით დედაქალაქში კი გაემგზავრა, მაგრამ ბიუროკრატიული „მავთულხლართების“ გამო კორპუსში მიღება ნახევარი წლით გაჭიანურდა. შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, არაკჩეევებმა მეტი გამოსავალი რომ ვერ მონახეს, იძულებული გახდნენ ეკლესიის კარებთან დამდგარიყვნენ და თავი მათხოვრობით ერჩინათ. სამაგიეროდ შემდეგ საქმე კარგად წავიდა. ალექსი მასწავლებლებმა გამოარჩიეს, პირველ მოსწავლედ ჩათვალეს და „უფროს კლასში“ გადაიყვანეს, სადაც სწავლა უცხო ენებზე მიმდინარეობდა (შემდგომში არაკჩეევი შესანიშნავად ლაპარაკობდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე). კორპუსი რომ დაამთავრა, მათემატიკის და არტილერიის მასწავლებლად დატოვეს. 1789 წელს გრაფმა სალტიკოვმა ნიჭიერი ჭაბუკი თავისი შვილებისათვის მათემატიკის მასწავლებლად მიიღო. ახლა ღარიბ პოდპორუჩიკს უკვე თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მიეცა.

არაკჩეევის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როცა მას ტახტის მემკვიდრე პავლესთან დაახლოების საშუალება მიეცა. პავლეს ეზიზღებოდა თავისი დედა, მას უკვე საკმაოდ სოლიდური ასაკის მიუხედავად, სახელმწიფო საქმეებს არავინ აკარებდა. მაშინ პავლემ, რომელიც გატჩინაში ცხოვრობდა, გადაწყვიტა თავისი პატარა არმია შეექმნა, პეტრე პირველის ცნობილი სახალისო (თუ თავშესაქცევი) პოლკების მსგავსად, რომლებიც შემდეგ საკმაოდ სერიოზულ ძალად იქცნენ. 1792 წელს პავლემ სთხოვა კადეტთა კორპუსის დირექტორს გენერალ მელისინოს მისთვის კარგი პრაქტიკოსი არტილერისტი მიეცა. არჩევანი არაკჩეევზე შეჩერდა, რომელიც დაუყოვნებლივ ჩავიდა გატჩინაში და პავლეს „სახალისო არმიის“ არტილერიის ხელმძღვანელი გახდა. ტახტის მემკვიდრემ მალე შეამჩნია ახალგაზრდა ოფიცრის დიდი მონდომება, რკინისებური ნებისყოფა და მძიმე, შეურიგებელი ხასიათი. მას პოლკოვნიკობა მიანიჭეს და ქალაქის კომენდანტად დანიშნეს.

როგორც კი პავლე იმპერატორი გახდა, უკვე 1796 წლის 8 ნოემბერს ნაქართველარს გენერალ-მაიორობა, ჯერ ბარონის, შემდეგ კი გრაფის წოდება (პირველს ქართველთაგან) მიანიჭეს და ნოვგოროდის გუბერნიაში 2 ათასი ყმაც უბოძეს. პავლე მისი გულისთვის სულსაც კი არ იშურებდა. იმდენად ენდობოდა, რომ არაკჩეევს ერთბაშად სამი თანამდებობის შესრულება დაევალა: იგი უკვე პეტერბურგის კომენდანტიც იყო, პრეობრაჟენსკის პოლკის უფროსიც და არმიის გენერალ-კვარტირმაისტერიც (რაც, ფაქტობრივად, გენერალური შტაბის უფროსობას უდრიდა). აი, რას ნიშნავდა ხელმწიფის წყალობა, რუსული გენერალიტეტი კი „მეტიჩარას მიმართ“, ცხადია, მტრულად განეწყო.

ასეთი სწრაფი დაწინაურების შემდეგ არაკჩეევს ხასიათი ოდნავადაც არ შეუცვლია. იგი კვლავინდებურად უაღრესად მომთხოვნი იყო, ხელქვეითებს ცივად ექცეოდა, რაც ევალებოდა, ყოველივეს ზუსტად ასრულებდა. ხშირად ღიზიანდებოდა, ადამიანებს ნაკლებად ენდობოდა. პეტერბურგში ნევის ცენტრალურ პროსპექტზე რომ გაივლიდა, ცდილობდნენ გზაში არავინ შეჰყროდა, ფავორიტი მეტად მრისხანე იყო და შეეძლო ყველასთვის დიდი უსიამოვნება მოეტანა. პავლე I-თან მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მეფეს ვერავინ უბედავდა სუვოროვის ლექსების მიტანას, სადაც შეიძლებოდა ზოგიერთი გადაკრული სიტყვა არ მოსწონებოდა. ასეთ შემთხვევაში დამთხვეულ პავლეს შეეძლო სილაც კი გაეწნა ან ჯოხი დაერტყა (ერთხელ ხომ ასე გაუკეთა პოლკოვნიკ იაშვილს, თავის მომავალ მკვლელს). ფავორიტს კი არაფერი ემუქრებოდა. ერთხელ მეფეს რომ მიმართა, მეტად დამცინავი გამომეტყველება ჰქონდა: „თქვენო უდიდებულესობავ, ხომ მოგეხსენებათ, რომ გენერალ-ანშეფი სუვოროვი ერთდროულად პიიტიკოსიც არის“.

იხ. 6 გვ.

პოეზია

## ნინო სიხარულიძე



# ციკლიდან — „ცხარე ლექსები“

### კარუსელი

*(ანუ „ქატო იქა, ფქვილი აქა...“)*

იმას ფქვილი, ამას — ქატო,
ის ნეტარებს, ეს კი ნატრობს,
ის ზეიმობს, ეს კი გლოვობს,
ის ნადიმობს, ეს კი ომობს,
ის ღალატობს, ეს კი იცავს,
ის აგინებს, ეს კი ჰფიცავს,
ის აღმაა, ეს კი დაღმა,
ის ყვავილობს, ეს კი გახმა,
ის ჩაიქცა, ეს დაიქცა —
„იფქლი ღვარძლად გადაიქცა“.
ნუ ინაღვლებ, ჩემო ერო,
ყურებამდე ბედნიერო,
იმედი ნუ გაგიქრება,
მუდამ ასე არ იქნება:
აგორდება აქციები,
იძალებენ მაქციები,
მიტინგები გაჩაღდება,
ძველი გუნდი გავარდება,
მოვა გუნდი ახალი,
ფრთების ფართხალ-
ფართხალით —
შეიცვლება როლები,
არ იცვლება სტილი:
ვისაც ქატო ერგებოდა,
მას ერგება ფქვილი.
... ხელახლა ატრიალდა
კარუსელი ბზრიალა,
ვიღაც ცამდე ასწია,
ვიღაც გაატიალა.
გუშინდელი მესია
დღეს ბატების მწყემსია,
გუშინდელი „ბომჟები“
დღეს გამხდარან „როჟები“.
ხომ გაიგეთ ყველამ —
ჩვენთან ისევ ბნელა:
თავად გახდა მგელი
მგლის დამმარცხებელი.



.........................
იმას ფქვილი, ამას ქატო,
მგლობის მოშლას არვინ
ნატრობს.
იმას ქატო, ამას ფქვილი,
გვეღირსება სიბრძნის კბილი?!

### „პროფესიონალთა“ ქვეყანა

„პროფესიონალი“ ექიმი,
„პროფესიონალი“ ვექილი —
სუყველა შებერტყილი და
სუყველა გამოქექილი.
„პროფესიონალი“ მაგნატი,
„პროფესიონალი“ მაგები —
გაგფცქვნიან , გაგაშტერებენ,
თუ კირით არ ხარ ნაგები.
„პროფესიონალი“ ქილერი,
„პროფესიონალი“ ალფონსი —
რა სიტყვა! რა საქმე!
რა ჟესტი!
რა „დიდებული“ პათოსი!
„პროფესიონალ“ მოლაყბეს
ბრძენმაც კი ვეღარ აჯობა,
რას ვიზამთ, ჩვენს ქვეყანაში
გაიჯეჯილა ქაჯობამ.
პირჯვარს პირჯვარზე იწერენ,
თვალს უშტერებენ ოლარებს,
მაგრამ რა? ხატის სანაცვლოდ
თაყვანსა სცემენ დოლარებს.
თუ მოიპოვეს გრანტები,
დადიან, როგორც გრანდები,
ამოჭრილი აქვთ სინდისი,
ვით ბავშვობაში — გლანდები.
გნიასი ისმის გარშემო
„პროფესიონალ“ ტურების,
ნეტავი, როდის დადგება
დრო მათი გაპანღურების.
თუმცაღა, უხერხულია
ამ ლექსში მისი ხსენება,
მაგრამ ილიას სიტყვების
სწორედ დღეს გვმართებს
ფერება:
— ისეთმა ფურმა დამწიხლოს,
ჩემზე მეტს რომ იწველისო, —
ვაი შენ, ჩვენო წარსულო,
ჩვენო აწმყოვ და მერმისო!
იმდენი ვცოდეთ სუყველამ,
ჩვენზე ნამდვილად ახია,
რომ საქართველო რძეგამშრალ
ფურების იალაღია.
„პროფესიონალ“ შადიმანთ,
„პროფესიონალ“ ყვარყვარეთ,
„პროფესიონალ“ ლუარსაბთ
ვითვლით და
ვეღარ დავთვალეთ.
ღმერთო, შენ შეგვაძლებინე
სიმართლით თავის გატანა,
ნუ გაახარებ ჩვენზედა
პროფესიონალ სატანას.

### დატეხილი ლექსი

წვიმისფერი თვალები
შევატოვე წარსულს,
მაგრამ აწმყოს წარსულის
მიტოვება არ სურს.
მიდი-მოდის მდინარე,
უხმოდ მოიმდორება,
კვლავ ვეწევი სიგარეტს და
მოსაწყენ ცხოვრებას.
ნეტავი, ვინ გათვალა
სულის მტრედი შავთვალა,
სულის მტრედი შავთვალა,
ლექსით რომ ვაპურებდი,
შემომწყრა და შემკრთალი
დაფრთხიალდა
სარკმლიდან,
უიმისოდ ნანატრი
გაზაფხულიც არ მინდა.
ისევ ამოვილექსე
მარტოობის მღვიმიდან,
ისევ თქვენთან ერთად
ვცლი მოთმინების ფიალებს,
არ მეგონა, იღბალი უბრად თუ
ჩამივლიდა,
როგორც ღრუბელს ჩაუვლის
მთვარე მოხეტიალე.
სული მარადიული
სიცრუის მძევალია,
სულის მოსაფერებლად
აღარავის სცალია.
მიდი-მოდის მდინარე,
უხმოდ მოიმდორება,
კვლავ ვეწევი სიგარეტს და
მოსაწყენ ცხოვრებას.

ეს ჩვენი ისტორიაც არის

(მეხუთე გვერდიდან)

როგორც იმდროინდელი მწერლები აღნიშნავდნენ, ყოვლისშემძლე არაკჩეევს მრავალი უცნაურობა ახასიათებდა. ძალიან ეშინოდა, რომ მოწამლავდნენ და სადილის დროს თითოეულ ულუფას ძაღლებს ასინჯვინებდა. ეს ძაღლები გენერალს ძალიან უყვარდა და შემდეგ თავის მამულ „გრუზინოში“ მარმარილოს საფლავებიც კი გაუკეთა ასეთი წარწერით.: „ერთგულ ჟუჩკას და ძვირფას დიანკას“. სადილის შემდეგ კი, როცა ჩვეულებისამებრ ყავას მოიტანდნენ ხოლმე, ნაქართველარი რამდენიმე ყლუპს ძაღლებს უსხამდა და მხოლოდ ამის შემდეგ სვამდა.

არაკჩეევი ეტლებისა და ცხენების ჭენების დიდი მოყვარული იყვნენ. თუ ამას არ გააკეთებდნენ, ქალებს საშინელი რისხვა ემუქრებოდათ.

სოფლებში არაფერი ძველ ადგილზე არ დატოვეს. ყველა ხე ერთნაირი სიმაღლისა უნდა ყოფილიყო, ბაღები — ერთმანეთის მსგავსი. ძველი საფლავები მიანგრ-მოანგრიეს, ახალი საზომები დაუწესეს. სოფლებში სახლები ერთ ხაზზე ვიყო განლაგებული, ყველა ერთნაირი. სხვაგვარის აშენება, უბრალოდ, არ შეიძლებოდა.

რუსეთს ხომ ძველი დროიდანვე უგზოობა სტანჯავდა. ხომ გახსოვთ რუსეთის ორი ნაკლი გოგოლის მართლაცდა დიდებული განმარტებით: პირველი იყო უამრავი „სრულფასოვანი “ ბრიყვის არსებობა და მეორე — წესიერი გზების არარსებობა. რუსეთში თა თვალს არაკჩეევის საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით დედაქალაქმა სუფთა და სასიამოვნო იერი მიიღო. ჯარისკაცებს კარგად კვებავდნენ და აცმევდნენ, ყაზარმებს დროულად არემონტებდნენ, ხელმრუდე ოფიცრებს ხომ უსასტიკესად სჯიდნენ. ამის მიუხედავად, იმპერატორს რაღაც არ მოეწონა, დაუყოვნებლივ ჩამოაქვეითა გენერალი, თუმცა მის მსგავს მსახურს სად იპოვიდა, გული მოუბრუნდა და ორჯერ დააბრუნეს ძველ თანამდებობაზე.

მამის მოკვლის შემდეგ ტახტზე ასული ალექსანდრე I არაკჩეევს კიდევ უფრო მეტად აფასებდა. 1807 წელს მას არტილერიის გენერლის წოდება მიენიჭა, 1808 წელს სამხედრო მინისტრი, მთელი არტილერიისა და ქვეითი ჯარის გენერალ-ინსპექ-

# „შენი რაა, რომ ახარებ...“

## ანუ გენერალი არაკჩეევი და მისი „გრუზინო“

იყო. პეტერბურგიდან დილის 6 საათზე მიემგზავრებოდა. გრუზინომდე 121,5 ვერსი იყო, რასაც 8 საათს ანდომებდა, შუადღის 2 საათზე ჩადიოდა. ყველა გაფრთხილებული იყო, მთელ გზაზე ცხენები უნდა გამოეცვალათ. ნეტავ ვინ გამოთვალა, მაგრამ თავისი ცხოვრების განმავლობაში გენერალს პეტერბურგიდან „გრუზინომდე“ 90 ათასი ვერსი გაუვლია.



გენერალი ყველაფერს არაჩვეულებრივ დესპოტიზმს უმორჩილებდა. გრუზინოს უდიდესი მამული საკუთრებად რომ მიიღო, ყველა მკაცრ დისციპლინას უნდა დაქვემდებარებოდა. რამდენიმე ათასი გლეხი სამხედრო დასახლებებში გაანაწილა, რაც რუსეთისათვის ახალი ამბავი იყო და ამით, არაკჩეევის აზრით, რუსეთის არმიის დონე უნდა ამაღლებულიყო. გლეხები ერთდროულად იარაღს კარგად დაეუფლებოდნენ, ჯარისკაცებს კი სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ხნიერ გლეხებს ინვალიდები ეწოდებოდათ, შუა ხნის ადამიანებს — რიგითები, ჭაბუკებს — კანტონისტები. ერთი სიტყვით, არაკჩეევის განკარგულებით ყველაფერმა მდინარე ვოლხოვის ნაპირებზე სამხედრო იერი მიიღო — ვის როდის და როგორ უნდა ემოძრავა, დაწოლილიყო ან დამჯდარიყო. ისიც კი განაწილდა, ვის როდის უნდა ემოძრავა ეკლესიაში, ანდა, რომელი ზარიდან უნდა დაერეკათ. გენერალმა დაწვრილებით იცოდა, თუ რა ხდებოდა თითოეული გლეხის ოჯახში, რადგან ყველა სოფელში მსტოვრები ჰყავდა, ზოგან რამდენიმეც კი. თითოეული ეს მსტოვარი მასთან ყოველ დილით უნდა გამოცხადებულიყო და ყველაფერი ზუსტად მოეხსენებინა. წელიწადში ერთხელ გენერალთან სოფლის ყველა გაუთხოვარი ქალი, ასე ვთქვათ, სათათბიროდ მიჰყავდათ. ისინი ისმენდნენ არაკჩეევის შეგონებას, წელიწადი რომ გავა, ახალი ბავშვები აუცილებლად უნდა ჩამაბაროთო, ამასთან, უფრო სასურველი ბიჭები

პირველი სწორი გზა ჩუდოვოდან „გრუზინომდე“ სწორედ არაკჩეევმა თავის ყმებს გააკეთებინა. ეს გზა სახელმწიფოს ხარჯზე გაიმართა და ერთი მილიონი რუბლი დაჯდა.

გენერალს უყვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იგი მდიდარი ადამიანი არ არის და მომხვეჭელობიდანაც ძალიან შორსაა. ერთხელ, როცა ავად გახდა, მთავრობამ ურჩია საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასულიყო. რახან არაკჩეევი ჩიოდა, რომ საამისოდ თანხა ნამდვილად არა აქვს, უზენაესი განკარგულებით მას 50 ათასი რუბლი გამოუყვეს. ძნელი სათქმელია, ეჭვიანმა არაკჩეევმა ამ წინადადებაში რაიმე საფრთხე თუ სარმის გამოდება დაინახა, ანდა რაღაც მაცდური რამ იგრძნო. ამიტომ ფული კი აიღო, მაგრამ ეს თანხა საქველმოქმედო მიზნით ეკატერინეს ქალთა ინსტიტუტს შესწირა. თვითონ კი ასეთი რამ გააკეთა: კარის მინისტრს წინადადება მისცა იმავე 50 ათას რუბლად მისგან ეყიდა ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც მას საფრანგეთიდან მშვიდობიანობის დროს თვით იმპერატორმა ნაპოლეონ I-მა აჩუქა. რატომ უნდა ეყიდათ? იმიტომ, რომ გენერლის აზრით, უხერხული იყო კერძო პიროვნებას ჰქონოდა ფაიფურის ჭურჭელი საიმპერატორო ღერბით. დაუჯერეს კიდეც.

პავლე I ყურადღებით ადევნებ-

ტორი გახდა, მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამხედრო რეფორმები განახორციელა. საინტერესოა, რომ ზარბაზნებისა და სხვა იარაღების მოცულობა გენერალმა ორგზის შეამცირა, ამით მათი მანევრირება ბევრად გაიზარდა. შესანიშნავად აეწყო საქმეები სამხედრო ქარხნებში, გაუმჯობესდა მათი პროდუქცია. რაც მართალია, მართალია, არაკჩეევს არა მარტო არტილერიის თავისებურება, არამედ მთელი სამხედრო საქმეც ბრწყინვალედ ესმოდა და რუსული არმიის დონეც საგრძნობლად ამაღლდა.

სანამ ალექსანდრე I ცოცხალი იყო, თავის უერთგულეს მსახურს გვერდიდან არ იშორებდა. აი, ახალ იმპერატორ ნიკოლოზ I-თან კი გენერალმა საერთო ენა ვერ გამონახა.

ნიკოლოზ I-ს ჰყავდა თავისი ფავორიტები: პასკევიჩი და დიბიჩი, თავისი ძმის თანამშრომლებს კი მაინცდამაინც პატივს არ სცემდა. არაკჩეევს, ყველა თანამდებობიდან განთავისუფლებულს, ისევ თავის „გრუზინოში“ მოუხდა წასვლა. იგი ბოლო მომენტამდე (გარდ. 1834 წელს) არ ივიწყებდა თავის „კეთილმყოფელ“ ალექსანდრე I-ს. იმ ოთახებში, სადაც მეფე ცხოვრობდა, არაკჩეევთან სტუმრობის დროს, არაფერი არ გადაადგილდებოდა, ოდნავი ცვლილებაც კი არა ხდებოდა. როგორც უწმინდეს რელიკვიას, ისე ინახავდა გენერალი შუშაში ჩასმულ მეფის წერილებსა და რესკრიპტებს, ასევე მის პერანგს. „გრუზინოში“ მონარქის უზარმაზარი ძეგლი იყო აღმართული. და კიდევ ერთი რამ: არაკჩეევმა სახელმწიფო ბანკში 50 ათასი რუბლი შეიტანა, რომელიც უნდა გადასცემოდა იმ ავტორს, რომელიც ალექსანდრე I-ის ცხოვრებას ღირსეულად აღწერდა და შეამკობდა, „მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, ასე რომ ღირსეულად უნდა წარვდგე რაპორტით ჩემს საყვარელ იმპერატორთან“.

**გივი გამრეკელი**

ⓞ თავჩენილი მეოცესაუკუნელები

# პაბლო პიკასო. უბედურების მომტანი

**დიდი პაბლო პიკასოს შვილიშვილი მარინა თავის მოგონებების წიგნში წერდა: „პაპაჩემი გენიოსი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ისე მოეპყრობოდნენ, როგორც მკვლელსა და გარყვნილს“.**



## პარიზის ქუჩებში

**პაბლო პიკასო 1881 წელს ესპანელი მასწავლებლის ხოსე რუის ბლასკოს ოჯახში დაიბადა (მოგვიანებით დედის გვარს აიღებს).** თავის დროზე ხოსე ძალიან იყო გატაცებული მხატვრობით, მაგრამ საქმე სამოყვარულო ნახატების იქით, საკუთარ სახლს რომ ამშვენებდა, არ წასულა. თუმცა, ამის მიუხედავად, მამას ჭეშმარიტად სჯეროდა, რომ ხატვის ნიჭი შვილს სწორედ მისგან გამოჰყვა. სხვა არანაირი ნიჭი ბიჭისთვის არ შეუმჩნევიათ – სკოლაში სწავლის ბოლოსაც კი პაბლო ძლივს კითხულობდა და გაჭირვებით ასრულებდა უმარტივეს მათემატიკურ მოქმედებებს.

სამაგიეროდ მის ნახატებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა ყოველი მნახველი. როდესაც გაიგეს, რომ ერთადერთი სარბიელი, სადაც რაიმეს შეიძლება მიაღწიოს მათმა შვილმა – ეს ფერწერა იყო, მშობლებმა პაბლო ესპანეთის საუკეთესო სასწავლებელში – მადრიდის სან-ფერნანდოს სამეფო აკადემიაში მიაბარეს. მაგრამ ჭირვეულმა პიკასომ აქ სულ რამდენიმე ხანი გაძლო – მალე მიანება თავი აკადემიას და პარიზის დასაპყრობად გაეშურა. მიაჩნდა, რომ მხოლოდ ამ ბოჰემურ ქალაქში ცხოვრებით შეძლებდა თავისი ოსტატობის სრულყოფას. ახალგაზრდა მხატვარმა ოთახი რავინიანის მოედანზე ძველ ხის სარდაფში იქირავა, სადაც არც შუქი იყო და არც სითბო. პირველსავე დღეს შეეცადა გაეოცებინა მეზობლები საკუთარი ორიგინალობით – ჩაიცვა მუშის სპეციალური ტანსაცმელი, პერანგი კი იყო წითელი თეთრი წინწკლებით. ტანსამკაულს ამშვენებდა ბაწრისძირიანი ესპანური სანდლები. მაგრამ გაირკვა, რომ მეზობლები ასი ქულით უსწრებდნენ ახალგაზრდა პროვინციელს ჩაცმისა და დახურვის ორიგინალობაში. მათი ტანსაცმელი უფრო ღვლარჭნილი და უცნაური იყო.

თუმცა ზოგიერთი პიკასომ მაინც გააოცა – ახალგარდა მხატვარი გოგონა ფერნანდა მის კამერაში გადაბარგდა. ასეთი განძის მიღების შემდეგ პიკასო თავის საყვარელს კეტავდა ბინაში და არ უშვებდა იქიდან კვირაობით, სანამ პიკასო შესაფერის ნატურას ეძებდა თავისი სურათებისთვის. ნატურა კი მან მოძებნა საკმაოდ უცნაური –პიკასომ გაიცნო ახალგაზრდა ექიმი-გინეკოლოგი, იშოვა სადღაც სამედიცინო ხალათი, გამოეწყო ექიმის ასისტენტად, დადიოდა საავადმყოფოში, რომლის ძირითადი პაციენტებიც მეძავები იყვნენ, ვინც აქ მკურნალობდა „პროფესიული დაავადებებისგან“. მათი გატანჯული სახეები და სხეულები მხატვრის შთაგონება იყო.

პიკასოს კარიერა მალე იზრდებოდა, და უკვე მისცა თავს უფლება გადასულიყო უფრო კომფორტულ საცხოვრებელში. პიკასომ იქ მიიყვანა სამი სიამის კატა, ძაღლი, მაიმუნი და ორი თეთრი თაგვი. ფერნანდასთვის კი იქ ადგილი აღარ აღმოჩნდა – იგი ვერ შედიოდა ინტერიერის ჰარმონიაში. თანაც პიკასოს უკვე მოსწყინდა მასთან ურთიერთობა.

## რუსი კარმენი

**ფერნანდასთან დაშორების რამდენიმე ხნის შემდეგ პიკასო მარტოხელა ცხოვრებას ეწეოდა, თავს იყოლიებდა მხოლოდ გართობებით.** ყველაფერი შეიცვალა 1917 წლის გაზაფხულზე, როდესაც მხატვარი მიიწვიეს ევროპაში გასტროლებით მოგზაური რუსული ბალეტის დეკორაციებისა და კოსტიუმების შესაქმნელად. ახალგაზრდა მოცეკვავემ კორდებალეტიდან ოლღა ხოხლოვამ მოხიბლა პიკასო. მას ხშირად აფრთხილებდნენ, რომ რუსი ქალები ძალიან განსხვავდებიან ქარაფშუტა პარიზელებისგან და რომ მისი მოპოვების ერთადერთი საშუალება მასზე დაქორწინება იყო. 1918 წლის ზაფხულში პაბლო პიკასო და ოლღა ხოხლოვა შეუღლდნენ. პირველ საქორწინო ღამეს პიკასო საშინლად გაოცდა – სულ არ ელოდებოდა, რომ მისი პატარძალი ქალწული იქნებოდა. ქორწინების შემდეგ ოლღამ დატოვა ბალეტი და გადასახლდა მხატვრის შესანიშნავ ორსართულიან ბინაში.

პიკასომ ძალიან მალე გაიგო, რომ ის და მისი ცოლი სულ სხვადასხვა ადამიანები იყვნენ. ბიჭის – პოლის გაჩენამაც ვერ გამოაცოცხლა მისი გრძნობა. პიკასომ დაიწყო გან-გან ინტრიგები. ამ „ინტრიგას“ მარია-ტერეზა ვალტერი ერქვა. ეს რომ გაიგო, შეურაცხყოფილმა ოლღამ ქმარი მიატოვა. მაგრამ როდესაც პიკასომ მას განქორწინება სთხოვა, უარი მიიღო, უთხრა, რომ ისევ უყვარდა პიკასო. ამ განცხადებამ მხატვრის რისხვა გამოიწვია. „შენ მე გიყვარვარ, როგორც ქათმის ხორცის ნაჭერი და გინდა, რომ გამომხრა“, – უყვიროდა იგი. ცოლი რომ გაეღიზიანებინა, მას ხან ცხენის, ხან როკაპის სახით ხატავდა. ოლღა ბრაზობდა, მაგრამ მცდელობას არ აკლებდა, რომ ქმარი დაებრუნებინა. ისინი უკვე დიდი ხანი აღარ ცხოვრობდნენ ერთად, მაგრამ ხოხლოვა ხშირად აწყობდა შემთხვევით შეხვედრებს, მისდევდა პაბლოს ქუჩაში და ყვიროდა: „შენ არ შეგიძლია მიიღო ისეთი სახე, თითქოს მე არ ვარსებობდე! რაღაცა მნიშვნელოვანი მაქვს სათქმელი!“ მაგრამ პიკასო ერთხელაც არ შემობრუნებულა მისკენ.

მას შემდეგ, რაც პიკასო დაშორდა ცოლს (ოფიციალური განქორწინება მაინც ვერ მიიღო), მარია-ტერეზა ვალტერმა მას გოგონა მაია გაუჩინა. იმის ნაცვლად, რომ ბავშვისთვის მიეცა თავისი გვარი, მხატვარი მისი ნათლია გახდა, შემდეგ კი სულ გაქრა მარია-ტერეზას ცხოვრებიდან.

## ლამაზები და ურჩხული

**ლამაზი ქალები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეხვია გარს პიკასოს.** თავად შეიძლება ყოფილიყო 40 ან 50 წლის, მაგრამ ქალი არასოდეს ყოფილა 30 წელზე უხნესი. ის მათ აფასებდა, როგორც ლამაზ საგნებს, მათი გრძნობები არასოდეს არ აღელვებდა პიკასოს. მაგალითად, როდესაც მორიგი ფავორიტი დორა მაარი მივიდა მხატვართან მხარდასაჭერად – დორას დედა გარდაეცვალა – მან უმალვე აიძულა იგი, რომ მიეღო საჭირო პოზა. პიკასო დარწმუნებული იყო, რომ ცრემლები დორას არაჩვეულებრივად მიმზიდველს ხდიდა.

**პიკასო თავს ექიმად ასაღებდა და მეძავების საავადმყოფოში დადიოდა.**

შემდეგი ქალი, ნორჩი მხატვარი ფრანსუაზა ჟილო პიკასომ დაარწმუნა მიეტოვებინა მხატვრობა და გაეჩინა მისთვის შვილები. მას შემდეგ, რაც ფრანსუაზამ პიკასოს აჩუქა ბიჭი კლოდი და გოგონა პალომა, ის მთლიანად გაცივდა ქალის მიმართ. ფრანსუაზა მისგან წავიდა 1953 წელს, პაბლოს მისი დარჩენაც არ უცდია. მის გადაწყვეტილებაზე პიკასოს ერთადერთი რეაქცია იყო ფრაზა: „აი ნაგავი“.

დიდი პიკასოს უკანასკნელი სიყვარული გახდა ჟაკლინ როკი. თავად მაშინ 72 წლისა იყო, ქალი – 27 წლის. იმ დროისთვის პაბლო პიკასო უკვე თავისუფალი იყო – ოლღა ხოხლოვა კიბოსგან გარდაიცვალა ქალაქის საავადმყოფოში. დასაფლავებაზე მივიდნენ მხოლოდ მისი ქალიშვილი და რამდენიმე მეგობარი.

1961 წელს პიკასო და ჟაკლინი დაქორწინდნენ. თუმცა ნამდვილ ქორწილს ამ ცერემონიას ვერ უწოდებდი. სვამდნენ მხოლოდ წყალს, მიირთმევდნენ წინადღეს დარჩენილ ქათამს. შემდგომი ცოლქმრული ცხოვრებაც გამოირჩეოდა უბრალოებითა და განმარტოებით. ჟაკლინს ამგვარი ვითარება ხელს აძლევდა – მას არ უნდოდა ვინმესთვის გაეყო თავისი განძი. მათ სახლში პიკასოს ნამდვილი კულტი ბატონობდა. ცოლი მას მიმართავდა მხოლოდ როგორც „მონსინიორ“ ან „თქვენო ბრწყინვალებავ!“ როდესაც სახლში მხატვრის შვილები მოდიოდნენ, ჟაკლინს შეეძლო აბსოლუტურად სერიოზულად ეთქვა მათთვის: „როგორ შეგიძლიათ ფანჯარაში ყურება, როდესაც ოთახში მზეა და ჩვენი მეფე მონსინიორი პიკასო?!“ თავდაპირველად პიკასოს ეჩვენებოდა, რომ ასეთი თაყვანისცემა რაღაც სნეულებაა, მაგრამ თანდათან შეეჩვია მას და მოსწონდა კიდეც. ახლა მას მიაჩნდა, რომ ყველას, გამონაკლისის გარეშე, ასე უნდა მიემართა მისთვის. ჟაკლინმა შეძლო მისი გადაკიდება შვილებთან და შვილიშვილებთან, დაარწმუნა მხატვარი, რომ მათ მხოლოდ მისი მემკვიდრეობა სურდათ. სანამ მისი შვილები ცდილობდნენ საქმის მოგვარებას, პიკასო ტრაბახობდა, რომ შეუძლია იყიდოს სახლი „გუშინ დაჯღაბნილი სამი ნაგვისმაგვარი სურათით“ და საუცხოო ბანკეტი გადაიხადოს რესტორანში ხელსახოცზე ხელმოწერით.

შეიძლება, ვიღაცა მართლაც ვერ ითმენდა მიეღო მხატვრის მემკვიდრეობა, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ უამრავი უბედურება გამოიწვია. სიკვდილის წინ პიკასომ თქვა: „მე დიდი გემივით ვარ. როცა ის იძირება, ყველაფერს უფსკრულში ითრევს“.

პაბლო პიკასო 1973 წლის 8 აპრილს გარდაიცვალა. მისი და ოლღა ხოხლოვას შვილიშვილი იხვეწებოდა მიეცათ მისთვის ნება – დასწრებოდა პაპის დაკრძალვას, მაგრამ ჟაკლინმა უარი უთხრა. დაკრძალვის დღეს პაბლიტომ დალია ფლაკონი დეკოლონარით, რომელიც იწვევს გაუფერულებას ქიმიური სითხით. როდესაც ის საავადმყოფოში მიიყვანეს, ექიმებმა თქვეს, რომ საწამლავს დაეწვა მთელი შინაგანი ორგანოები. სამი თვის შემდეგ პაბლიტო გარდაიცვალა.

1975 წლის 6 ივნისს ღვიძლის ციროზით, რომელიც ალკოჰოლმა და ნარკოტიკებმა გამოიწვიეს, გარდაიცვალა 54 წლის ასაკში მხატვრის შვილი პოლ პიკასო.

1977 წლის ოქტომბერში თავისი სახლის გარაჟში ხმელთაშუა ზღვის პატარა ქალაქ ჟუან-ლე-პენში თავი ჩამოიხრჩო მარია-ტერეზა ვალტერმა. მაშინ ის 68 წლისა იყო. 1986 წლის 15 ოქტომბერს, დილის 3 საათზე, მადრიდში თავის საწოლში თავი მოიკლა ჟაკლინ პიკასომ. დორა მაარი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**„ЗДОРОВЬЕ“**

ⓞ ინფორმაცია

## „ახალგაზრდობა უდანაკარგოდ“

**პროკურატურამ და განათლების სამინისტრომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კამპანიისთვის საუკეთესო დევიზის გამოსავლენად კონკურსი 1 თებერვალს გამოაცხადეს. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან, 50-ზე მეტი ვარიანტიდან გამარჯვებულის გარდა შეირჩა კიდევ 5 სლოგანი, რომლებიც არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კამპანიისას სხვადასხვა ღონისძიებებში გამოიყენება.**

**კონკურსში გამარჯვებულ 54-ე სკოლის მეთორმეტეკლასელ თინათინ ყიფიანს ლეპტოპი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ გადასცეს.**

**პროკურატურის ძირითადი მიზანია აარიდოს არასრულწლოვნები დანაშაულებრივ გზას. სწორედ ამიტომ 2010 წელი საქართველოს პროკურატურამ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და უსაფრთხო სკოლის წლად გამოაცხადეს. მთელი წლის განმავლობაში არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართება – საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტი გააგრძელებს საჯარო სკოლებში პროკურორების ლექციებს სამართლებრივ თემებზე, გაიმართება კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები, დისკუსიები უშუალოდ მოსწავლეთა მონაწილეობით. ყველა ღონისძიება კონკურსში გამარჯვებული დევიზის ეგიდით წარიმართება.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთელებს აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვა შეუძლიათ

**აფხაზეთის პრეზიდენტმა 18 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი მთავრობა ემზადება მისცეს ნება რუსეთელებს შეისყიდონ საცხოვრებელი ბინები რესპუბლიკაში. მან აღიარა, რომ ამჟამად სიტუაცია ამ საკითხში ასიმეტრიულია: აფხაზეთის მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ საკუთრება რუსეთში, რუსეთელებს კი აფხაზეთში – არა. ბაღაფშის გეგმებმა აფხაზი ოპოზიციონერების მწვავე რეაქცია გამოიწვია.**

სერგეი ბაღაფშმა განაცხადა ახალი კანონის მომზადების შესახებ, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს ნებას რთავს შეისყიდონ აფხაზეთში უძრავი ქონება. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მიწა აფხაზეთში არ იყიდება – არც რუსეთის მოქალაქეებზე, არც აფხაზეთის მოქალაქეებზე“. მაგრამ, მისი აზრით, საჭიროა კანონმდებლურად მიენიჭოს რუსეთელებს უფლება შეისყიდონ პირველადი საცხოვრებელი რესპუბლიკაში. ბაღაფში ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია „უსამართლობით“: აფხაზეთის მოქალაქეებს შეუძლიათ შეისყიდონ ბინები რუსეთში, ხოლო რუსებს აფხაზეთში – არა.

რუსეთელები დიდი ხანია გვერდს უვლიდნენ აფხაზეთის კანონს, ყიდულობდნენ უძრავ ქონებას ცრუმაგიერი პირის სახით. გარიგებანი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რასაც რუსეთელები ყიდულობდნენ, ფორმდებოდა აფხაზეთის მოქალაქეებზე – ეს რუსეთის ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. აფხაზეთის უძრავი ქონებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა სოჭის ოლიმპიადის ციებ-ცხელებასთან დაკავშირებით: საცხოვრებელ ბინაზე ფასები სოჭში მკვეთრად ავარდა და რუსეთელები ცდილობენ სახსრები დააბანდონ მეზობელ აფხაზეთში, სადაც მიწები ჯერ კიდევ შედარებით იაფია. მაგრამ ამგვარი უკანონო თემები არ იყო გარანტირებული უსაფრთხოებით: იურიდიულ მფლობელს შეეძლო ბინის ან სახლის გაყიდვა რამდენჯერმე. თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით აფხაზეთის პროკურატურას მრავალი სარჩელი აქვს აღძრული. მაგრამ საქმეში კანონში უძრავი ქონების შესახებ ცვლილებების შეტანამდე ჯერ კიდევ არ მისულა.



ამ დროს სერგეი ბაღაფშის განზრახვამ, ნება მისცეს უცხოელებს შეისყიდონ აფხაზეთში უძრავი ქონება, გამოიწვია მკაცრი კრიტიკა ოპოზიციური პარტიებისა და მოძრაობების მხრიდან. ოპოზიციის მთავარი არგუმენტი გახდა ის, რომ აქ უძრავი ქონების შესყიდვის უფლების მიცემით რუსეთელებისთვის, აფხაზეთის ხელისუფლება ხელს უწყობს აფხაზური ეთნოსის ასიმილაციასა და თანდათანობით გაქრობას. „ჩვენ ამისთვის როდი ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში“, – აცხადებდნენ ოპოზიციონერები.

Коммерсантъ

---

**რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი წარმოადგენს უახლეს მაგალითს იმისა, თუ როგორ მუშაობს სამხედრო პროპაგანდა და როგორ შეუძლია კონტრპროპაგანდას მისი ეფექტის ნულამდე დაყვანა, საბოლოო ჯამში კი თავად ომის პარტიისთვის დარტყმის მიყენება.**

გავიხსენოთ, დასავლეთში ახალ ამბებში ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ ომი დაიწყო რუსეთის „შემოჭრით“. თითქოს რუსებმა მოახდინეს პირველი გასროლა, დაიკავეს ქართული სადავო ოლქი, რომელიც ცნობილია, როგორც სამხრეთი ოსეთი. პრესა აჭრელებული იყო ინფორმაციით რუსეთის აგრესიის შესახებ. რესპექტაბელური ანალიტიკოსები გაჰყვიროდნენ რუსეთის აგრესიის შესახებ, უხვად იყენებდნენ ცივი ომის ატრიბუტიკას და საუბრობდნენ რუსეთის მოქმედებათა შესახებ, სთავაზობდნენ დასავლეთს, უპასუხონ ამ აგრესიას სათანადოდ. მაკკეინი უმალვე გაიქცა მატარებლის წინ, დაადასტურა მისი მეგობრის მიხეილ სააკაშვილის მიერ შემოთავაზებული მოვლენათა ორიგინალური ვერსია და გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უსიტყვოდ უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს. რუსეთი, განაცხადა მან, აგრესორია, აგრესორები კი ჩვენ არ უნდა ავიტანოთ.

ბარაკ ობამამ თავდაპირველად მოუწოდა მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მას უმალვე თავს დაესხნენ მაკკეინი და ნეოკონები, რომლებმაც ბრალი დასდეს მას „მორალური გათანაბრების“ სამარცხვინო ცოდვაში.

ობამა თავის ოჯახთან ერთად იმ დროს, მგონი, ჰავაის კუნძულებზე ისვენებდა, ამიტომ არ შეეძლო საკმაოდ სწრაფად მოეხდინა რეაგირება ამ მოვლენებზე. კრიტიკოსებმა უმალვე განაცხადეს, რომ ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად არის იგი მზად ხელისუფლებისთვის – იხილე ჰილარი კლინტონის მწუხარებით აღსავსე როლიკი: „მზად იქნება იგი, უპასუხოს ტელეფონის ზარს ღამის სამ საათზე?“. ობამამ მალე გამოასწორა თავისი შეცდომა და კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომელშიც ომის მიზეზად დაასახელა რუსეთის „აგრესია“.

როგორც გამოირკვა, ობამას პირველი – ინსტინქტური – რეაქცია სწორი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მსოფლიომ გაიგო ომის დაწყების ვითარებანი, ეს უკვე ცხადი გახდა. როდესაც კვამლი გაიფანტა და წინ წამოვიდა ფაქტები, მასობრივი ინფორმაციის პროქართული რეფლექტორული რეაქცია აღმოჩნდა აბსოლუტურად უსამართლო: საქართველოს ჯარებმა არა მხოლოდ პირველებმა გახსნეს ცეცხლი, არამედ მათ თითქმის მიწასთან გაასწორეს „მეამბოხე“ ცხინვალი. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებულმა და მომზადებულმა საქართველოს არმიამ ასობით მშვიდობიანი მცხოვრები გაანადგურა.

საქართველოს ლობს ამერიკაში შეუძლია იამაყოს იმით, რომ ასე დიდხანს შეძლო დაემალა სიმართლე ფარდის მიღმა ფარული რიტორიკით და საუცხოოდ დადგმული სპექტაკლით, რომელიც შეესაბამებოდა მესამეხარისხოვან ჰოლივუდურ სცენარს. გმირული „დემოკრატი“ სააკაშვილი ახალი სტალინის წინააღმდეგ კრემლიდან – როგორი სიუჟეტია დასავლური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის! სამწუხაროა მხოლოდ, რომ ცივი ომის რემეიკის გმირი უფრო ახლოსაა სტალინთან – როგორც წარმოშობით, ისე ტემპერამენტით, ვიდრე ამის შესახებ შეიძლება ოდესმე ეოცნება პუტინს.

## საქართველო: გზა, რომელიც ვარდებით მოფენილი არ არის

უკანასკნელ პერიოდში სააკაშვილი ყოველნაირად ცდილობს წარმოაჩინოს თავისი პარანოი და შურისმაძიებლობა – ორი ყველაზე ცნობილი ხასიათი სტალინისა. დავიწყოთ იმით, რომ ის დაუღალავად სწევს წინ პარანოი თეორიას იმის შესახებ, რომ ქართული დემოკრატიული ოპოზიცია მონაწილეობს რუსეთის მიერ ორგანიზებულ შეთქმულებაში, რათა ხელში ჩაიგდოს საქართველო. ის აგრეთვე მუდმივად იფიცება, რომ დაუბრუნებს საქართველოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს – ორ ამბოხებულ პროვინციას, რომელსაც მისი არმია უტევდა 2008 წელს. ამჟამად მან რევანშისტული ლოზუნგებით დაიწყო კამპანია ქართული საზოგადოების სრული მილიტარიზაციის შესახებ.

ასეთი ამბების დაწყება ყველაზე იოლია სკოლებიდან, სადაც სააკაშვილის რეჟიმი აპირებს სავალდებულო კურსების შემოღებას თემაზე „სამხედრო-პატრიოტული აღზრდა“. მიაჩნიათ, რომ ამ კურსებმა უნდა ჩაუნერგოს ამ ახალგაზრდობას „მხედრული სულისკვეთება“. სააკაშვილის სიტყვებით, საქართველო აგრძელებს ომს და ამიტომ ასეთი კურსები და პოლიტიკური აღზრდა აუცილებელია ქვეყნის დასაცავად აუცილებელი თავდასხმისგან. როგორც უკვე ვიცით ამერიკის გამოცდილებით, ფანატიკური ნაციონალიზმი – ეს ტირანის პირველი ნავსაყუდელია, და სააკაშვილს არ ერიდება იყოს ეს კეტი ოპოზიციისთვის, სანამ მისი პოლიცია ქუჩებში სცემს დემონსტრანტებს.

აი, როგორ იცავს სააკაშვილი თავის „სამხედრო-პატრიოტულ“ კურსებს ტვინების გამოსარეცხად: „ჩვენ გადავწყვიტეთ შემოვიღოთ სკოლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდა – შეიძლება მას ვუწოდოთ სამოქალაქო თავდაცვის კურსები. ეგრეთ წოდებულმა ლიბერალებმა ამასთან დაკავშირებით ატეხეს ხმაური, გაჰკივიან: „უჰ, როგორი კატასტროფაა, ეს ცუდი ტონია“. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში სამხედრო მომზადება სკოლებში მართლაც არ იყო ძალიან კარგი“.

დიახ, საბჭოთა პერიოდში ეს კურსები უბრალოდ ლიბერალური იყო და არ შეეძლოთ, როგორც იდეა, დაემკვიდრებინათ მილიტარიზმი და ფანატიკური ნაციონალიზმი. ჩვენ, ქართველები ვაჩვენებთ მათ, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს. „ჩვენი ქვეყნის წინაშე რეალური გამოწვევებია“, – აღნიშნა სააკაშვილმა ამასწინანდელ შეხვედრაზე თბილისელ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან, რომელიც ტელევიზიითაც აჩვენეს. მან საქართველო შეადარა ისრაელს – ქვეყანას, რომელსაც ყველა მხრიდან მტრები აკრავს და მთლიანად მილიტარიზებულია. ისრაელშიო, ხალხი „მზადაა რაკეტული სროლებისთვისაც“.

სააკაშვილისთვის საუბედუროდ, მისი ხელისუფლების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს პრაქტიკულად არაარსებული რაკეტული სროლების საფრთხე რუსეთის მხრიდან. რეალურად კი მას აქვს სხვა მიზეზი შეშფოთებისთვის – პოლიტიკური უკმაყოფილება საკუთარი ხალხისა – გაღატაკებულისა, ქანცმიხდილისა ომისგან, რომელმაც დაკარგა ილუზიები, გაღიზიანებულია მისი სულ უფრო მზარდი რეპრესიული რეჟიმის გამო.

„სამწუხაროდ, ჩვენ ვცხოვრობთ არა შვეიცარიაში და არა ჰოლანდიაში, – ამბობს სააკაშვილი და აგრძელებს თავის ტირადებს საზიზღარი „ლიბერალების“ მისამართით. – ჩვენ მეზობლად გვყავს ერთი მტრული ქვეყანა. ამიტომ ეს ყველაფერი (სამოქალაქო თავდაცვა ან სამხედრო პატრიოტული მომზადება) სჭირდება საქართველოს და ამაში არაფერი მილიტარისტული არ არის... საქართველოს სჭირდება თავისი დაცვა. ჩვენ არავის ვესხმით თავს. მაგრამ ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია“.

სინამდვილეში საქართველო მაინც თავს დაესხა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს, ისროდა საცხოვრებელი კვარტალების მისამართით, დახოცა ან დაჭრა ათასობით კაცი, მოკლეს აგრეთვე 4 კაცი რუსი სამშვიდობოებიდან, რომლებიც განთავსებული იყვნენ იქ ძირითადი შეთანხმების პირობებით. მაგრამ, რასაკვირველია, სააკაშვილის სამხედრო-პატრიოტული გაკვეთილები, რომლებზეც უნდა ისაუბრონ საქართველოს სამხედრო ისტორიის შესახებ, არ დაუთმობენ დიდ ყურადღებას ამგვარ წვრილმანებს.

შეუქცევადმა ნაციონალისტმა სააკაშვილმა, რომლის მილიტარიზმიც ეკონომიკურად ამახინჯებს საქართველოს, გადაწყვიტა აგრეთვე გადააქციოს თავისი ქვეყანა ნატოს სამხედრო ოპერაციების პლაცდარმად. ამას წინათ მან წამოაყენა წინადადება, განეთავსებინათ ქვეყნის ტერიტორიაზე ბაზები ავღანეთში ნატოს ძალების მოსამარაგებლად. საქართველოში დიდი ხანია ილტვიან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესასვლელად. ამაში მათ მხარს უჭერენ ჯონ მაკკეინი და დაუღალავი ქართული ლობი ვაშინგტონში. იგივე ხროვა, რომელიც ილტვოდა და მიაღწია კიდეც ნატოს გაფართოებას საბჭოთა კავშირის დაშლის პირველსავე წლებში და ამჟამად განზრახული აქვს, გაიწვდინოს დასავლეთის გრძელი ხელი შუა აზიის ტრამალების სიღრმისკენ.

სააკაშვილის წინადადებამ შეიძლება უზრუნველყოს მისი წევრობა ნატოში, მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის წინააღმდეგობისა. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ არა სრული წევრობა, რაიმე წინასწარი სტატუსი მაინც. ამავე დროს ყოველთვის შეიძლება თქვა, რომ თუ ალიანსში შეუძლია შესვლა ალბანეთს, რატომ არ შეუძლია ეს საქართველოს ან აზერბაიჯანს, ანდა ნებისმიერ სხვა პოსტსაბჭოთა შუა აზიურ კლეპტოკრატიას, რომლებიც წარმოიქმნენ რუსეთის პერიფერიაში?

ყველა ეგრეთ წოდებული „ფერადი რევოლუციიდან“, რომლებსაც აქტიურად წაახალისებდა ამერიკის მთავრობა და რომლებსაც იგი აშკარად ეხმარებოდა ფულით, აგრეთვე უწევდა საიდუმლო დახმარებას, ქართული რევოლუცია სანიმუშოდ ითვლებოდა ყველა დანარჩენისთვის. მაგრამ საბოლოოდ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი „რევოლუცია“ გადაიქცა ნატურალური მეგალომანის დიქტატურად. თვითმარქვია კავკასიელი ნაპოლეონის დიქტატურად, რომელიც ზღუდავს საკუთარ ხალხს, თავი კი წარმოუჩენია დიდ განმათავისუფლებლად. ამაში არის რაღაც ყურადსაღები, ასე არაა?

ANTIWAR

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანეთის ფლოტი ფოლკლენდის კუნძულებთან ემზადება არგენტინასთან ახალი ომისთვის**

არგენტინა მოითხოვს შეწყდეს მზადება ნავთობის მოპოვებისთვის კუნძულების რაიონში. ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბრაუნი აფრთხილებს, რომ სამხედროები უპასუხებენ ნებისმიერ მცდელობას დაირღვეს ფოლკლენდის კუნძულების კავშირი გარე სამყაროსთან. 1982 წელს კუნძულებისთვის მიმდინარე ომის დროს 900-ზე მეტი კაცი დაიღუპა.

* * *

**ტეხასის საგადასახადო სამსახურის შენობაში, სადაც შეიჭრა პროგრამისტი-კამიკაძის თვითმფრინავი, 2 ცხედარი აღმოაჩინეს**



მინიმუმ 13 კაცია დაჭრილი, მათგან ორი კრიტიკულ მდგომარეობაშია. შენობაში სულ მუშაობდა საშინაო შემოსავლების სამსახურის დაახლოებით 190 თანამშრომელი. დაღუპულთა პიროვნებებს ჯერჯერობით არ ასახელებენ. თვითმფრინავის პილოტი დაღუპულად ითვლება, შენობაში მომუშავე ერთ-ერთი თანამრომელი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

* * *

**ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ბულგარეთში არ იქნება, ამშვიდებს რუსეთს ქვეყნის ხელმძღვანელობა**

ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან არავითარი ოფიციალური მოლაპარაკება არ მიმდინარეობს, მიმდი-




ნარეობს მხოლოდ საერთო საკითხების განხილვა უშიშროების პრინციპების საკითხებზე ნატოს ფარგლებში. იგივე დაადასტურეს ბულგარეთის პრემიერმა და სოფიაში ამერიკის ელჩმა, თუმცა ეს უკანასკნელი ამ ცოტა ხნის წინათ საპირისპიროს აღნიშნავდა.

* * *

**აშშ-ში ჩამოვარდა სამხედრო-საზღვაო ძალების შვეულმფრენი: 4 კაცია დაჭრილი**

ბორტზე სულ 17 კაცი იმყოფებოდა. შვეულმფრენი მონაწილეობდა სამხედრო-საზღვაო ძალების, არმიის, ეროვნული გვარდიისა და კანადის არმიის სამედიცინო სამსახურების ერთობლივ სწავლებაში.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

### გრძელი გზა რეფორმებისკენ

სსრ კავშირის განვითარების ასეთი ხედვა სტალინს უმალვე როდი ჩამოუყალიბდა. მას უნდა გაევლო ცდებისა და შეცდომების გრძელი გზა, რომ ჩასწვდომოდა პარტოკრატიის მთელ მავნეობას. 20-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახდა, ის შეეცადა ქვეყანა დაემორჩილებინა ძლიერი ადმინისტრაციულ-პარტიული ვერტიკალისთვის. სტალინის მოსაზრებით, ყველას თავში უნდა ყოფილიყო პარტიული აპარატი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ კომუნისტების მასები, მათი არჩევითი ორგანოები, აგრეთვე საბჭოები, მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პარტიული ნომენკლატურა მას წარმოედგინა, როგორც ერთგვარი მკაცრი იერარქიული პირამიდა, სადაც ქვედა ფენები ემორჩილებიან ზედა ფენებს, შუალედური და ქვედა აპარატები – ცენტრალურს, რომელიც სტრუქტურირებულია ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საორგანიზაციო ბიუროს და სხვადასხვა განყოფილების გარშემო. სტალინი ფიქრობდა, არჩევითობა გაეხადა წმინდა ფორმალურ პროცედურად, ყურადღება გაემახვილებინა კადრების შერჩევაზე დანიშვნის გზით. უკვე 1922 წლის აგვისტოში XII პარტიულ კონფერენციაზე შემოიღეს დამატება წესდებაში, რომლის თანახმადაც საგუბერნიო პარტიული კომიტეტების მდივნები აუცილებლად უნდა დაემტკიცებინათ ზემდგომ ინსტანციებს. ეს დებულება განმტკიცდა რამდენიმე თვის შემდეგ საგუბერნიო კომიტეტების მდივნებისა და განყოფილებათა გამგეების თათბირზე (1922 წელი). მაშინ გადაწყდა, რომ სწორედ ცენტრალური კომიტეტის აპარატი ითვალისწინებს და ანაწილებს სრულიად რუსეთის, გუბერნიებისა და საოლქო დონის პარტიულ მუშაკებს.

სკპ (ბ) XII ყრილობაზე (1923 წელი) სტალინმა ნამდვილი ჰიმნი უმღერა ცენტრალური კომიტეტის დამფუძნებელ-განმანაწილებელ განყოფილებას, ურომლისოდაც **„მთელი პარტიული პოლიტიკა აზრს კარგავს“**. მთავარია, მიიჩნევდა გენერალური მდივანი, რომ აპარატის ყველა რგოლში **„იყვნენ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ დირექტივები, მიიღონ ეს დირექტივები, როგორც თავიანთი მშობლიური, და შეუძლიათ მათი განხორციელება“**. მან განსაზღვრა ისეთი წესრიგის აუცილებლობა, როდესაც აპარატის გავლენა გავრცელდებოდა ყველა ბაზარზე.

პრინციპულად სტალინს ახალი არაფერი არ შეუქმნია. უკვე სამოქალაქო ომის პერიოდში პარტიულმა აპარატებმა, კომიტეტებმა დაიწყეს თავიანთვის პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოების დაქვემდებარება (რომლებიც, თავიანთი მხრივ, ექვემდებარებოდნენ თავიანთ ალმასკომებს). გენერალურმა მდივანმა მხოლოდ დაასრულა ახალი სისტემის სტრუქტურირება, მიანიჭა მას ლეგიტიმურობა პარტიული გადაწყვეტილებების სახით. მას მიაჩნდა, რომ მართვის სწორედ ასეთი მკაცრი სტრუქტურა ერთი ცენტრიდან შეძლებს განამტკიცოს სახელმწიფო და განახორციელოს საჭირო მოდერნიზაცია.

მაგრამ ძალიან მალე სტალინი გაიგებს თავისი ჩანაფიქრების მთელ შეცდომებს. პარტიულმა აპარატმა (ცენტრალურმა და ადგილობრივმა) მას მხარი დაუჭირა, თუმცა სხვადასხვა მოტივით. თუ ცენტრალურმა კადრებმა მართლაც დაუკავშირეს თავიანთი ბედი გენერალურ მდივანს და დამორჩილების მკაცრ მოდელს, ადგილობრივ აპარატის მუშაკებს, პირიქით, იმედი ჰქონდათ, რომ განამტკიცებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას, ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხელისუფლებას გადააქცევდნენ ფორმალობად. მათ ხელს აძლევდათ, რომ იგი იქვემდებარებდა მთავრობასა და საბჭოებს, რითაც თავიდან იცილებდნენ სახიფათო კონკურენტებს. ძალის ერთ ცენტრთან, რამდენადაც ეს უცნაურად უნდა გვეჩვენებოდეს, ყოველთვის უფრო იოლია საქმის ქონა. უმჯობესია დაექვემდებარო ერთ კონტროლიორს, ვიდრე რამდენიმეს, რომელთაგანაც თითოეულს აქვს თავისი სამეთვალყურეო პოზიცია, რის შედეგადაც მეთვალყურეობის ობიექტი ხდება გამჭვირვალე. ამასთან ერთად, ცენტრი, სამთავრობო და საბჭოთა ორგანოების დაქვემდებარებით, იქმნიდა საჭირო პრეცედენტს – რეგიონალებს მიაჩნდათ, რომ აქვთ უფლება იმოქმედონ ასევე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-32.

აქ მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. სტალინი რაც მეტად ამყარებდა დაქვემდებარების ვერტიკალს, მით მეტად აძლიერებდა რეგიონულ, ქვემდგომ რგოლებს. მათზე მკაცრი ზემოქმედება უბიძგებდა რეგიონებს, მოეხდინათ ასეთივე ზემოქმედება საკუთარ ქვედა რგოლებზე. და როგორც ცენტრი ძლიერდებოდა რეგიონების მაღალი რგოლიდან, ისე ეს რგოლიც იკრებდა ძალას ქვემოდან. სტალინი უნებურად იჩენდა საკუთარ ორეულებს, რომლებიც გადაიქცეოდნენ ძალისა და გავლენის დამოუკიდებელ ცენტრებად. ამას ხელს უწყობდა ერთფეროვნების სისტემა, რომელსაც მიზნად ჰქონდა – გადაექცია რეგიონული ორგანოები ეფექტიანად დაქვემდებარების პოლიტიკის განხორციელებაში ისეთად, როგორიც ცენტრი იყო.

ცენტრალური აპარატი ყველგან თავს ახვევდა საიდუმლოების რეჟიმს. პრაქტიკულად მთელი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადაეცემოდა (ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით) უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში. ამას თვალყურს ადევნებდა განსაკუთრებული ორგანო – ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო განყოფილება. მაგრამ რეგიონულ ორგანოებსაც, რომლებიც სტალინს უნდოდა ცენტრისთვის დაემსგავსებინა, ხომ ჰქონდათ ასევე საიდუმლო განყოფილებები. ესე იგი მათ გააჩნდათ მათი წარმომქმნელი ცენტრის საპირისპირო მოქმედებათა მთელი არსენალი. ცხადია, რომ სტრუქტურა, რომელსაც აქვს ძალიან დიდი სახელისუფლო უფლებამოსილებანი, განწირულია იქონიოს ქვემოთ იგივე სტრუქტურები, რომლებიც მოახდენენ მისი ხელისუფლების მინიზირებას. თავად ცენტრალური სტრუქტურის გადარჩენა მხოლოდ ერთია – ძირითადი სამმართველო ვერტიკალის გარეშე ჰქონდეს ძალის სხვაგვარი ცენტრები. მხოლოდ მათ შეუძლიათ იქცნენ აუცილებელ საპირწონედ, შეაკავონ ცენტრის ორეულის განზრახვანი.




20-იანი წლების შუა პერიოდი საბჭოთა ბიუროკრატიის ნამდვილი „ოქროს ხანაა“. 1923-1927 წლებში რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების რიცხობრივი შემადგენლობა ორჯერ გაიზარდა. თანაც რა არის დამახასიათებელი – რესპუბლიკური და საოლქო კომიტეტების დონეზე კადრების განახლების დონე 22 პროცენტს არ აჭარბებდა, მაშინ როდესაც რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში აღნიშნულ პერიოდში სულ ცოტა 50 პროცენტი იყო. გამოდის, რომ დიდი რეგიონული ბოსები თავიანთ დონეზე ინარჩუნებდნენ საკადრო სიტუაციის სტაბილურობას, ქვევით კი აწყობდნენ რაღაც წმენდის მაგვარს, რისი მიზანიც მხოლოდ მათი ნებისადმი დამორჩილება იყო.

ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, თუ სახელისუფლებო ვერტიკალი წამოვიდოდა მთავრობისგან, მაშინ ქვეყანას საქმე ექნებოდა სამეფო ტიპის ბიუროკრატიასთან. მაგრამ საბჭოთა ბიუროკრატია სწორედ პარტოკრატია გახლდათ, ის წარმოადგენდა კანცელარიული დამოკიდებულების, პოლიტიკანობისა და რევოლუციონერობის შენადნობს. ასეთ პირობებში ქვეყნის მართვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეფექტიანი. ყოველთვის იყო შენარჩუნებული მოუფიქრებელი, ავანტიურისტული, მემარცხენული ამბების საფრთხე. ტროცკი დამარცხდა, მაგრამ მისი საქმე აგრძელებდა არსებობას რევოლუციისა და სამოქალაქო ომის იმ ვეტერანთა აზროვნებასა და ქცევებში, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ კონტროლი სახელისუფლო ვერტიკალზე. საჭირო იყო ხელისუფლების ცენტრის გადატანა პარტიიდან მთავრობაში, რაც პარტიული აპარატის როლის შემცირებას მოითხოვდა, განსაკუთრებით ადგილებზე.

სტალინმა საკმაოდ ადრე შეამჩნია შექმნილი სიტუაციის არანორმალურობა. უკვე 1924 წლის ივნისში, სკპ (ბ) სამაზრო კომიტეტების მდივნების კურსებზე ის მკვეთრად დაესხა თავს თეზისს – „პარტიის დიქტატურის“ შესახებ, რომელიც მაშინ ყველა ლიდერმა მიიღო. გენერალური მდივანი ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში არის არა პარტიის დიქტატურა, არამედ მუშათა კლასის დიქტატურა. 1925 წლის დეკემბერში კი XIV ყრილობის პოლიტიკურ ანგარიშში სტალინმა განსაკუთრებით აღნიშნა – პარტია არაა „იგივე, რაც სახელმწიფო“, **„პოლიტბიურო კი არის არა სახელმწიფოს, არამედ პარტიის უმაღლესი ორგანო“**. ეს იყო პირველი ფრთხილი ნაბიჯები პარტოკრატიის შესუსტების გზაზე. ზევით უკვე იყო აღნიშნული სტალინის მეთოდიკა – დაეწყო ძალიან კომპრომისული და გარეგნულად უწყინარი დებულებებით, რომელთაც სინამდვილეში თან ახლდა მეტად რადიკალური სიახლენი. პარტოკრატიამ ამაში ვერანაირი ხრიკი ვერ იგრძნო, სტალინის განცხადება აღიქვა, როგორც ჩვეულებრივი დემაგოგია, მცდელობა – დაარწმუნოს ფართო მასები ეგრეთ წოდებული „პროლეტარიატის დიქტატურის“ არსებობაში.

სანამ მემარცხენე ოპოზიციასთან მიმდინარეობდა გაფთრებული ბრძოლა, სტალინი იფარგლებოდა მხოლოდ ფრთხილი დეკლარაციებით. მაშინ მას მდივანთა კორპორტა ძალიან სჭირდებოდა, მან ის გამოიყენა როგორც ძლიერი ხელკეტი ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ. მაგრამ როდესაც „მემარცხენეები“ მთლიანად იქნენ განადგურებული და პარტიიდან გარიცხული, სტალინი უმალვე შეეცადა შეესუსტებინა პარტოკრატია და დაიწყო... თავისი თავიდან და თავისი პოსტიდან. 1927 წლის დეკემბერში XV ყრილობის შემდეგ გამართულ პლენუმზე მან წამოაყენა წინადადება, გაეუქმებინა გენერალური მდივნის პოსტი. სტალინმა ასეთი რამ განაცხადა: **„თუ ლენინი მივიდა იმის აუცილებლობასთან, რომ წამოეყენებინა საკითხი გენერალური მდივნის დაწესების შესახებ, მიმაჩნია, რომ ის ხელმძღვანელობდა იმ განსაკუთრებული პირობებით, რომლებიც ჩვენთან გაჩნდა X ყრილობის შემდეგ, როდესაც პარტიის შიგნით შეიქმნა ასე თუ ისე ძლიერი და ორგანიზებული ოპოზიცია. მაგრამ ახლა ეს პირობები უკვე აღარ არის პარტიაში, ვინაიდან ოპოზიცია მთლიანად განადგურდა. ამიტომ შეიძლებოდა წავსულიყავით ამ ინსტიტუტის გაუქმებამდე... მე იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რომ ეს ინსტიტუტი, სახელწოდება გენერალური მდივანი, ადგილებზე იწვევს მთელ რიგ დამახინჯებებს... ადგილებზე ერთგვარი დამახინჯებები ჩნდებოდა და ყველა ოლქში ახლა მიმდინარეობს ჩხუბი ამ ინსტიტუტის გამო ამხანაგებს შორის, მდივნები რომ ჰქვიათ, მაგალითად, ეროვნულ ცენტრალურ კომიტეტებში. გენერალური მდივნები ახლა საკმაოდ ბევრი გაჩნდა, და ახლა ადგილებზე ამასთან განსაკუთრებულ უფლებებს უკავშირებენ. რა საჭიროა ეს?“**

მაგრამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უარი თქვა სტალინის მხარდაჭერაზე, თანაც სტალინის პროექტის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო ა.ი.რიკოვი – სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. მას პასუხისმგებლობის თავიდან აცილება უნდოდა, რომელიც უსათუოდ მას დაეკისრებოდა ხელისუფლების ცენტრის გადატანით მთავრობაში. თანაც, არ არის გამორიცხული, რომ რიკოვს ეშინოდა, არ გადასულიყო მეორე როლზე, თუ ადგილს იმავე სტალინს დაუთმობდა.

მცდელობაში – გაეუქმებინა თავისი თანამდებობა, გენერალურმა მდივანმა გამანადგურებელი მარცხი განიცადა, მაგრამ მდივნების კასტასთან გამწვავებაზე მაინც არ წასულა. იგეგმებოდა ფორსირებული ინდუსტრიალიზაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება და ასეთ გარდაქმნაზე წასვლა მკაცრი შინაპარტიული კონფრონტაციის პირობებში თვითმკვლელობის ტოლი იქნებოდა. სტალინმა გადადო რეგიონალებთან ბრძოლა და მათ ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელების საშუალებაც კი მისცა, რამაც რსფს რესპუბლიკაში გიგანტური ბიუროკრატიული მონსტრის – სამხარეო კომიტეტების შექმნამდე მიგვიყვანა.

რეგიონალებმა სტალინს მხარი დაუჭირეს, მაგრამ მისი პოლიტიკა (ისედაც საკმაოდ მცდარი მთელ რიგ საკითხებში) აბსურდამდე დაიყვანეს. უფრო მეტიც, მათ წრეში დაიწყო ოპოზიციური განწყობილების მომწიფება, რაც გადმოიფრქვა სკპ (ბ) XVII ყრილობაზე ხელისუფლებიდან სტალინის ჩამოშორების მცდელობაში. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ყრილობამდე დიდი ხნით ადრე ყველაზე რადიკალურად განწყობილმა რეგიონალებმა შექმნეს საკმაოდ ძლიერი ოპოზიციური დაჯგუფება. ამის შესახებ საუბარი გვქონდა ზემოთ – აქ მხედველობაშია სირცოვისა და ლომინაძის ეგრეთ წოდებული „მემარჯვენე-ცრუმემარცხენული“ ბლოკი, რომელიც 1930 წელს წარმოიქმნა. ცრუმემარცხენულად განწყობილ ლომინაძეს ეკავა უდიდესი ამიერკავკასიის კპ (ბ) კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი, ხოლო ბუხარინის მხარდამჭერ სირცოვს (სხვათა შორის, სტალინის დაწინაურებულსა და საყვარელ პიროვნებას) – რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა. რუსეთში კომუნისტური პარტია არ შექმნილა, ამიტომ ამ რესპუბლიკაში რეგიონული ამბიციების მატარებელი იქაური მთავრობის ხელმძღვანელი გახლდათ.

ოპოზიციური საქმიანობისთვის მას უბიძგებდა თავისი სტატუსის ერთგვარი ზარალი. ერთი მხრივ, რსფს რესპუბლიკა იყო ვრცელი ტერიტორია უზარმაზარი მატერიალური და ადამიანების რესურსებით. მეორე მხრივ – სირცოვის ხელთ არ ყოფილა არანაირი პარტიული ორგანიზაცია მაშინ, როდესაც რეალური ხელისუფლება ეკუთვნოდა სწორედ პარტიულ აპარატს. უფრო მეტიც, ზოგიერთ რუს რეგიონალს უნდოდა, ჩამოერთმია რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ის მცირე ორგანიზაციული შესაძლებლობანი, რაც მას მაინც რჩებოდა. მაგალითად, სკპ (ბ) XVI ყრილობაზე, რომელიც 1930 წელს გაიმართა, ხატაევიჩმა დელეგატებს უთხრა: **„ვფიქრობ, რსფს რესპუბლიკისთვის, როგორც ასეთისთვის, ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად შეიძლება დავაყენოთ საკითხი, რომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი გაერთიანებული სახალხო კომისარიატების ხაზით, ისეთებისაც, როგორებიცაა მიწის სახალხო კომისარიატი, სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭო, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, გაგვეხორციელებინა მათი შერწყმა, რათა მოსკოვში გვქონდეს ერთი სახალხო კომისარიატი და რომ შესაბამისი საკავშირო სახალხო კომისრის მოადგილე შედიოდეს რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში, და განაგებდეს რსფს რესპუბლიკის ყველა საქმეს“**. არსებითად, ხატაევიჩი გვთავაზობდა რსფს რესპუბლიკის სამთავრობო ორგანიზაციების ლიკვიდაციას. ის რსფს რესპუბლიკის იმ სამხარეო კომიტეტების მდივნების ინტერესებს გამოხატავდა, რომლებიც რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოში შესაძლო კონკურენტს ხედავდა. სირცოვი ყრილობაზე ამ წინადადების მწვავე კრიტიკით გამოვიდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მემარჯვენე-ცრუმემარცხენე ბლოკის“ შექმნის ერთ-ერთი პირობა იყო „რუსეთელი“ სირცოვისა და „ამიერკავკასიელი“ ლომინაძის მცდელობა – შეექმნათ ოპოზიცია არა მხოლოდ სტალინისთვის, არამედ რსფს და უკრაინის სს რესპუბლიკების გაცილებით უფრო გავლენიანი რეგიონალური ბარონების კავშირისთვისაც.

(გაგრძელება იქნება)

ვანკუვერი – 2010

# ოლიმპიადის ტაბლო

**ციგურებით რბენა. 1000 მ. ქალები**

1. კრისტინ ნესბიტი (კანადა), 2. ანეტ გერიტსენი (ჰოლანდია), 3. ლაურინ ვან რესინი (ჰოლანდია).

**სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერკომბინაცია. სლალომი. ქალები.**

1. მარია რიში (გერმანია), 2. ჯულია მანკუზო (აშშ), 3. ანია პერსონი (შვედეთი).

**სნოუბორდი. ჰაფპაიპი. ქალები.**

1. ტორა ბრაიტი (ავსტრალია), 2. ჰანა ტიტერი (აშშ), 3. კელი კლარკი (აშშ).







**ბიატლონი. ინდივიდუალური რბოლა. 15 კმ. ქალები.**

1. ტორა ბერგერი (ნორვეგია), 2. ელენე ხრუსტალიოვა (ყაზახეთი), 3. დარია დომრაჩევა (ბელორუსია).

**ბიატლონი. ინდივიდუალური რბოლა. 20 კმ. კაცები.**

1. ემილ-ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია), 2. ულე-ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია), 2. სერგეი ნოვიკოვი (ბელორუსია). კორექტურული შეცდომა არ გეგონოთ – ორივემ აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი აჩვენა და ორივეს ვერცხლის მედალი გადაეცა.

**ფიგურული სრიალი. თავისუფალი პროგრამა. კაცები.**

1. ევან ლაისაჩეკი (აშშ), ევგენი პლიუშჩენკო (რუსეთი), 3. დაისუკე ტაკაჰასი (იაპონია).

**საერთო გუნდური ჩათვლა (მედლები)**

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 6 | 5 | 7 | 18 |
| გერმანია | 4 | 4 | 3 | 11 |
| ნორვეგია | 3 | 3 | 2 | 8 |
| კანადა | 3 | 3 | 1 | 7 |
| სამხრეთ კორეა | 3 | 2 | 0 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 4 | 7 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| ავსტრია | 1 | 2 | 2 | 5 |
| რუსეთი | 1 | 2 | 1 | 4 |




ფეხბურთი

# ევროპის ლიგა განახლდა

**ათი მოგება, ოთხი ფრე და ორი წაგება – ასეთია ევროპის ლიგის პირველი მერვედფინალური რაუნდის შედეგი მასპინძელთა სასარგებლოდ, თუმცა მხოლოდ ორი წყვილის გამარჯვებულმა მიაღწია ისეთ უპირატესობას, რომელიც საპასუხო მატჩებისთვის მშვიდად მომზადების საშუალებას აძლევთ.**



ესენი არიან ყაზანის „რუბინი“, რომელმაც შინ სამი უპასუხო გოლი გაუტანა თელ-ავივის „ჰაპოელს“ და „მარსელი“, ვინაც დანიაში „კოპენჰაგენი“ დასცა. ახლოს არის მიზანთან ტურინის „იუვენტუსიც“. მან ახალი მთავარი მწვრთნელის ალბერტო ძაკერონის თავკაცობით ამაურის „დუბლით“ პირველი წარმატება მოიპოვა სტუმრად „აიაქსთან“.

**გაუწყებთ ოთხშაბათს გამართული შეხვედრების სრულ შედეგებს:** „ევერტონი“ – „სპორტინგი“ 2:1, „რუბინი“ – „ჰაპოელი“ 3:0, „აიაქსი“ – „იუვენტუსი“ 1:2, „ბრიუგე“ – „ვალენსია“ 1:0, „ვილიარეალი“ – „ვოლფსბურგი“ 2:2, „სტანდარდი“ – „ზალცბურგი“ 3:2, „ტვენტე“ – „ვერდერი“ 1:0, „ლილი“ – „ფენერბახჩე“ 2:1, „ბილბაო“ – „ანდერლეხტი“ 1:1, „ფულჰემი“ – „შახტარი“ 2:1, „კოპენჰაგენი“ – „მარსელი“ 1:3, „პანათინაიკოსი“ – „რომა“ 3:2, „ატლეტიკო“ – „გალათასარაი“ 1:1, „ლივერპული“ – „უნირეა“ 1:0, „ჰერტა“ – „ბენფიკა“ 1:1, „ჰამბურგი“ – „ეინდჰოვენი“ 1:0.

# ოქროს ციებ-ცხელება სამხრეთ აფრიკაში

**ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე არცთუ ძალზე დიდი დრო დარჩა. ახლა სამხრეთ აფრიკაში მის შესახვედრად გახურებული სამზადისია. ემზადება ყველა, ყველგან და ყველაფერში.**

ოლიმპიურ მშენებლობებზე აღარფერს ვამბობთ, იქ, როგორც ამბობენ, ყველაფერი თითქმის რიგზეა, თუ პრესას დავუჯერებთ, სადღეისოდ და ალბათ სამომავლოდაც ყველაზე დიდი პრობლემა იქნება სასტუმროს შოვნა, ღამის გათევა. თურმე ღამის გასათევის შოვნა ახლაც უკვე ძნელია. სასტუმროს პატრონებს მზაზარეული პასუხი აქვთ – ყველა ნომერი დაჯავშნულია, როგორც რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ იტყობინება, პორტ-ელისაბედში ოროს ციებ-ცხელებაა. ადრე სასტუმრო ზაფხულივით ცხელ იანვარში თუ 40-50 ევრო ღირდა, ახლა უკვე 140-150 ევროს აფასებენ. საერთოდ ღამის გასათევის ფასმა შედარებით პატარა ქალაქებში კი ორ-სამჯერ მოიმატა, ვერვინ იწინასწარმეტყველებს, თუ რა იქნება ზაფხულში, როცა სამხრეთ აფრიკის იმ ქალაქებს, სადაც ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს, უამრავი გულშემატკივარ-ტურისტი მიაწყდება.

ისიც შეინიშნება, რომ წაარწერა „სასტუმრო“ უკვე ხშირად ჩნდება ისეთ სახლებზეც კი, სასტუმრო-ბიზნესში რომ არ იყო ჩართული. ახლა უკვე უამრავ სამხრეთაფრიკელს უნდა დიდი ფულის გაკეთება. ჩემპიონატის წყალობით ერთბაშად გამდიდრებას აპირებენ ტაქსისტებიც და რესტორნების პატრონებიც.

# გუს ჰიდინკს – 30 მლნ დოლარი

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი-ოფში სლოვენიის ნაკრებთან რუსეთის ნაკრების დამარცხებისა და სამხრეთ აფრიკაში მოუხვედრელობის გამო რუსეთში ერთგვარად შემოსწყრნენ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჰოლანდიელ გუს ჰიდინკს, მანაც წასვლა გადაწყვიტა. თან ამ დროს პოსტიდან „ნებაყოფლობით“ გადადგა რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი ვიტალი მუტკო, ახალი პრეზიდენტი კი 3 თებერვალს აირჩიეს – სერგეი ფურსენკო. ჰიდინკი და ფურსენკო ერთად იყვნენ ევროპის 2012 წლის პირველობის კენჭისყრაზე. როგორც ჩანს, ყველაფერზე მაშინ მოილაპარაკეს. თუმცა საზოგადოებისთვის არაფერი განუცხადებიათ.**

მხოლოდ ჰოლანდიური გაზეთიდან De Telegraaf გახდა ცნობილი, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი გადაწყვეტით მიდის 30 ივნისის შემდეგ, როცა მას კონტრაქტი უმთავრდება. იქამდე კი ფეხბურთის კავშირის ხელმძღვანელობას საშუალება ექნება, შეარჩიოს ახალი მთავარი მწვრთნელი, თუ ის უცხოელი არ იქნება, მთავარ მწვრთნელობას უმიზნებენ კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელი ვალერი გაზაევი და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი იური სემინი. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ერთხელ უკვე იყო რუსეთის ნაკრების დამრიგებელი.



გუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა 2006 წლის აპრილში. მისი ხელფასი იყო „სუფთა“ 7 მილიონი დოლარი. გადასახადებს რუსეთსა და ჰოლანდიაშც ფეხბურთის კავშირი იხდიდა, ისევე როგორც სხვა ყველა ხარჯებს – მოსკოვში მდიდრულ სასტუმროში ცხოვრება, გაფრენები ევროპასა და უკან, და ა. შ.

როგორც ამბობენ, ამ ოთხ წელიწადში ჰიდინკმა რუსეთში გამოიმუშავა 30 მილიონი დოლარი.

ინტერნეტიდან

## რეკორდი წყალქვეშ

**როგორც ციურიხიდან იტყობინებიან, შვეიცარიელმა პეტერ კოლატმა რეკორდი დაამყარა წყალქვეშ უჰაეროდ ყოფნაში. 38 წლის სპორტსმენმა სუნთქვა შეიჩერა 19 წუთსა და 21 წამით, რაც 19 წამით მეტია ადრინდელ რეკორდზე, იტალიელ ნიკოლე პუტინიანოს რომ ეკუთვნოდა. ამ სარეკორდო ცდის დროს კოლატი იმყოფებოდა წყლით სავსე სპეციალურ კუბში, რომელიც ქალაქ სანტ-გალენის მოედანზე იდგა.**

გინესის რეკორდების წიგნის წესების შესაბამისად, ამ ვარჯიშის შესასრულებლად წყალში ჩაყვინთვის წინ კოლატმა სუფთა ჟანგბადით ისუნთქა.

## მესიმ გადაუსწრო კრიშტიანუს

**იანვარში გამოსვლების შედეგების მიხედვით „ბარსელონას“ თავდამსხმელმა ლეონელ მესიმ გადააუსწრო აქამდე ლიდერად მყოფ „რეალის“ ნახევარმცველს კრიშტიანუ რონალდუს. აქამდე მეორე ადგილზე მყოფმა ბარსელონელმა ტიერი ანრიმ კი მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, წინ გაუშვა რა „ლივერპულის“ თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი.**

შეგახსენებთ, რომ Cestrol Banking რეიტინგში ფასდება ევროპის ხუთი წამყვანი ლიგის ფეხბურთელების მაჩვენებლები. „არსენალის“ რუსი თავდამსხმელი ანდრეი არშავინი ისევ მეთერთმეტე ადგილზე დარჩა.

სადღეისოდ Cestrol-ის ანალიტიკოსებმა გააანალიზეს მომავალი ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიებიც. კერძოდ, ფეხბურთის ამ დიდ დათვალიერებაზე მოსახვედრად რუსეთის შანსი განსაზღვრულია 85 პროცენტით, მას უსწრებენ ჰოლანდია (98), გერმანია (97) აგრეთვე ინგლისი და ესპანეთი (96-96). დრო და შესარჩევი ტურნირი გვაჩვენებს, თუ ვინ მოხვდება კიდევ ევროპის პირველობაზე.

## ლიდერები არ შეცვლილან



**ისევ რუსეთის ჩემპიონი ალექსანდრე გრიშჩუკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი არიან ესპანურ ლინარესში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო სუპერტურნირის ლიდერები.**

მეოთხე ტურში სამივე პარტია ყაიმით დამთავრდა. გრიშჩუკი ვალეხოს დაუზავდა, გაშიმოვი – არონიანს, გელფანდი კი – ტოპალოვს.

4 ტურის შემდეგ ლიდერებს 2,5-2,5 ქულა აქვთ, არონიანს და ვალეხოს – 2-2, გაშიმოვსა და გელფანდს – 15-1,5.

## ლამაზმანმა თავი შეგვახსენა

**სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუს ყოფილმა სატრფომ ნერეიდა გალიარდომ ერთხელ კიდევ შეგვახსენა თავი. თანაც ეს ძალზე ეფექტურად გააკეთა – პიკანტური სურათები გადაიღო რა „პლეიბოისთვის“.**

შეგახსენებთ, რომ ლამაზმანმა სახელი გაითქვა სწორედ კრიშტიანუ რონალდუსთან რომანით, შემდეგ კი ის სერიოზულად ფიქრობდა ფეხბურთელთან დაქორწინებაზე. კრიშტიანუს ეს მაინცდამაინც არ მოეწონა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.



ამის შემდეგ ესპანელი ლამაზმანი სხვადასხვა გამოცემაში ვითომდა გულახდილი ინტერვიუებით ანგარიშს უსწორებდა ფეხბურთელს, მას მშიშარად აცხადებდა, თანაც იმასაც ამბობდა, რომ ის სისტემატურად ღალატობდა. და კიდევ ბევრ რამე საინტერესოს ამბობდა.

ამის შემდეგ ნერეიდას დიდხანს აღარ ახსენებდნენ. მაგრამ „პლეიბოიში“ ახალი ფოტოსესიის წყალობით ის კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა.

# ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს 2010 წლის 20 თებერვლიდან აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 4 წლის ვადით

შემდეგ თანამდებობებზე, მიმართულებების მიხედვით:

1. ჰუმანიტარული მეცნიერებები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

ბ) აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

გ) საქართველოს ისტორიის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

2.პედაგოგიკა:

ა) დაწყებითი განათლების მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

3. კომპიუტერული ტექნოლოგიები:

ა) კომპიუტერული სისტემები და ქსელების მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

4. სამართალის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

5. სოციალური მეცნიერებანი:

ა) ეკონომიკის მიმართულებით ;
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

ბ) ფინანსები და კრედიტების მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

6. დიპლომირებული სტომატოლოგი:

ა) სტომატოლოგიის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;
ასისტენტ პროფესორი – 2 შტატი;

## მაგისტრატურა

1. ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი - ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი;

2. ისტორიის მიმართულებით:
მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი – ერთი შტატი;
ასოცირებული პროფესორი – 2 შტატი.

## საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:

ა) სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:

ა) გამოქვეყნებული წიგნები (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

გ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო/ სარეზიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სალექციო კურსების, მოდულების ხელმძღვანელობა, მონაწილეობა.

დ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ ექვსი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ერთი ფოტოსურათი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) ავტობიოგრაფია (CV)

თ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ - გვერდიდან www.heydaruni.egu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ სამი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ერთი ფოტოსურათი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) ავტობიოგრაფია (CV)

თ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.-edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) აკადემიური განათლების მესამე საფეხურის – დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დოქტორანტურაში სწავლის შესახებ ცნობა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სადაც ის ითვლება დოქტორანტად;

ბ) ერთი ფოტოსურათი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი ასეთის არსებობის შემთხვევაში (სასურველია);

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) სილაბუსიები როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

ზ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.heydaruni.-edu.ge ან მიიღოთ სასწავლო უნივერსიტეტში);

საბუთების მიღება დაიწყება 2010 წლის 20 მარტის შემდეგ და იწარმოებს 2010 წლის 31 მარტის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ კვირის გარდა 10.00 სთ-დან 16 სთ-მდე; ქ. მარნეული, რუსთაველის №15.

კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ არაუმეტეს 10 აპრილისა;

- კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
- პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) ანალიზი და შეფასება.

მეორე ეტაპზე მოხდება პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს ინტერვიურების სახით ტექნიკური საშუალებებით).

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე www.heydaruni.edu.ge კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნები და ხელშეკრულების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

დაინტერესებულმა პირებმა, აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის სალექციო კურსების ჩამონათვალი, შეგიძლიათ იხილოთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.heydaruni.edu.ge ან მობრძანდეთ საკონკურსო კომისიის სამდივნოში – ქ. მარნეული, რუსთაველის №15;

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე 51-94-62.

**გამოვიდა**

# ემატოს სამაგიდო წიგნებს!

**სამი ავტორის – შალვა კირთაძის, ნიკოლოზ ნუცუბიძის, ომარ ძაგნიძის ეს 611-გვერდიანი(!) წიგნი, მართლაც რომ წლობით ნაშრომი, ყოველგვარი ქების ღირსია. ათასობით ტერმინისა თუ ცნების მომცველი „მათემატიკური ცნობარი“, ქუთაისში, აკაკი წერეთ-**




**ლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დასტამბული, არცთუ მდიდრული ქართული საცნობარო ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია.**

მშობლიურ ენაზე ასეთი მოცულობის, ასეთი მასშტაბურობის ცნობარი მარტო მათემატიკაში კი არა, მეეჭვება, რომ სხვა რომელიმე დარგში გვქონდეს. საგულისხმო ისიცაა, რომ ქართული ანბანი 33 ასო-ბგერიდან, ანით დაწყებული და ჰაეთი დამთავრებული, ყოველმა მათგანმა ჩაიმწკრივა „თავისი“ ტერმინები და განმარტებები, არც ერთი „დაუსაქმებელი“ არ დარჩენილა უმუშერებით გაძეძგილ ამ ქვეყანაში! მაგალითად, თითქოს „ყ“-ხე ან „ჭ“-ზე რა მათემატიკური ტერმინი ან განსაზღვრება უნდა იწყებოდეს, მაგრამ არა: „ყ“-ზე გნებავთ? – **„ყალიბული“** (ფორმულის მოძველებული სახელწოდება ქართულში) ან კიდევ „ყველგან მკვრივი სიმრავლე“; „ჭ“-ზე გნებავთ? – **„ჭეშმარიტების მატრიცი“** ან **კიდევ „ჭეშმარიტების ფუნქცია“...**

სარჩევიც რომ ორიგინალურია! რამდენიმე ათას „ერთეულს“ რა სარჩევი აუვიდოდა, ამიტომ ქართული ასოების მიხედვით შეუდგენიათ; ასე რომ, თუ „კოსინუსის“ განმარტება დაგაინტერესებთ, „კ“-ს განყოფილებას მიაკითხეთ, თუ „ფუნქციისა“ – „ფ“-ს განყოფილებას.

სადაც მართალია, ამ წიგნმა (რედაქტორი პროფესორი რევაზ ბანცური, რეცენზენტები პროფესორები გიორგი ონიანი და ზაზა სოხაძე) „განკუთვნილობის ფართო აუდიტორია უნდა შემოიკრიბოს – მოსწავლეები, მასწავლებლები, სტუდენტები, ლექტორები, „უბრალოდ“ მათემატიკის მოყვარულები; თუ, რასაკვირველია, კიდევ დარჩა მოყვარულთა კატეგორია **უახლესი, „ვარდოსნული“ წელთაღრიცხვის, განათლებარეფორმირებულ, მეცნიერებარეფორმირებულ საქართველოში...** მე, ყოველ შემთხვევაში, ვრჩები მათემატიკის მოყვარულად და სამი ავტორის შესანიშნავ ნაშრომს, სხვა ღირსებებთან ერთად, კარგი ქართულით დაწერილსაც, სამაგიდო წიგნად გავიხდი...

**თამაზ ებანოიძე**

ცირა და გივი ლომინაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სიკეთითა და სიყვარულით აღვსილი კდემამოსილი ადამიანის

ვარდიშა შენგელია-დავითაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ დოდოსა და ბატონ ვასილ დავითაიებსა და მათი ოჯახის წევრებს.

---

მეუღლე გოგი ჩივაძე, შვილები ალექსანდრე, გია, რძლები მზია, მაია, შვილიშვილები სანდრო, ნათია, გოგა, ნინო, ანა, შვილთაშვილები, ძმა ზურაბ რეხვიაშვილი, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნორა რეხვიაშვილი-ჩივაძისა

პანაშვიდი 21, 22 II, 16 სთ. ქვიშხეთის ქ. კორპუსი 4, გამოსვენება 23 II, 14 სთ. ივერიის ღვთისმშობლის ტაძრიდან. მისამართი: ეროსი მანჯგალაძის №11 (ყოფილი ხუდადოვი).

---

მღვდელი ექვთიმე ჩივაძე და გელა ჩივაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნორა რეხვიაშვილი-ჩივაძისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

არკადი ჟორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თინა შერმადინს დის

ფატი შერმადინის

გარდაცვალების გამო.

**ინფორმაცია**

## მოსკოვში ქართველ კრიმინალებს დაერივნენ

**ორ კვირაში მოსკოვში ორი ქართველი ე. წ. „კანონიერი ქურდი“ დააკავეს.**

**დაკავებულია ქუთაისელი კრიმინალური ავტორიტეტი, ე. წ. „ქუთაისის საძმოს“ ერთ-ერთი ლიდერი, 72 წლის დავით ფახურიძე. სამართალდამცავებმა ფახურიძე ფერგანის ქუჩაზე, მაღაზია „მეშვიდე კონტინენტის“ გაქურდვის მცდელობისას აიყვანეს.**

**შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი“, 36 წლის გურამ ჩიხლაძეც დააკავეს, რომელიც 2009 წლიდან იძებნებოდა.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

ქ. თბილისის 176-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის 15 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისათვის, საიჯარო ურთიერთობის ვადა შეთანხმებით.

მინიმალური თვიური გადასახადი შეადგენს 50 ლარს. განცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.

**საკონტაქტო ტელეფონი 76-01-62, 877728020.**

სულიერება

# მართლმადიდებლობის ზეიმი



**21 თებერვალს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს.**

...ხატთმებრძოლობა წარმოიშვა ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცების ჟამს, რომელიც თითქმის მთელი VIII საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას.

ერეტიკული სწავლების საპირისპიროდ, იოანე დამასკელმა ხატსა და თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა.

842 წელს მოიწვიეს კრება, რომელიც VII მსოფლიო კრების აქტებს ეფუძნებოდა... ხატთა თაყვანისცემა აღადგინეს და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადეს, რომელსაც, იმ დღიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს.

...მართლმადიდებლობა ჭეშმარიტი რელიგიაა, რადგან იგი ერთარსება ღმერთის – მამის, ძის და სულიწმინდის – წმიდა სამების მადიდებელია.

**გიული ლიპარტია**

დღის კალენდარი

## 20 თებერვალი



ამოდის 06.50
ჩადის 17.39



ამოდის 08.43
ჩადის 23.12

**დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა; თევდოროზა (გარდამავალია, მოიხსენიება დიდმარხვის პირველ შაბათსძ; კეთილმსახურებისა მეფისა სოლომონ II-სა, სამშობლოსათვის თავდადებულისა (1815ძ; ღირსისა პართენი ლამფსაკელი ეპისკოპოსისა (IVძ; ღირსისა ლუკა ელადელისა (დაახლ. 946ძ; 1003-თა ნიკომიდიელ მოწამეთა (303ძ; აპრიონის კვიპრელი ეპისკოპოსისა; მოწამისა თეოპემპტოსი და მისთანათა; 6-თა მოწამეთა ფრიგიელთა; მოწამისა ალათანგალოზისა დამასკოში (სირიაძ (IIIძ; მოწამისა ავდაქტესისა ფრიგიაში (IVძ; ღირსისა ლუკა სტირიოსელისა (953 ძ; ახალმოწამისა გიორგი კრეტელისა (1867ძ.**

### დაიბადნენ:

1694 – **ვოლტერი,** ცნობილი ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი.

1808 – **ონორე დომიე,** ფრანგი გრაფიკოსი, ფერმწერი და მოქანდაკე. გარდაიცვალა 1879 წელს.

1924 – **სიდნი პუატიე,** ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი.

1925 – **რობერტ ოლტმენი,** ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი.

1966 – **სინდი კროუფორდი,** ამერიკელი სუპერმოდელი და მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1437 – **ჯეიმს I,** შოტლანდიის მეფე.

1960 – **პერსი გრეინჯერი,** ამერიკელი კომპოზიტორი.

### მოვლენები:

**1816 წელი** – რომში ჯოაკინო როსინის ოპერის „სევილიელი დალაქის" პრემიერა გაიმართა.

**1819 წელი** – დაარსდა პეტერბურგის უნივერსიტეტი.

**1827 წელი** – ნიუ-იორკში „მეტროპოლიტენის" მუზეუმი გაიხსნა.

**1877 წელი** – გაიმართა ჩაიკოვსკის ბალეტის „გედების ტბის" პრემიერა.

**1988 წელი** – დაიწყო ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**პერუ** – ვერანო ნეგრუ.

**მელიანიუსი**

ყველაფერი ყველაფერზე

## ფანტასტიკური ტრაქტატი – „უტოპია"



**თომას მორს ზოგჯერ გადარეულ მეოცნებეს უწოდებენ, რომლის „უტოპიამ" ევროპაში საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ეს ფანტასტიკური ტრაქტატი (ზოგი მას რომანს უწოდებსძ პლატონის დიალოგების მსგავსად არის შექმნილი, თუმცა სავსებით ორიგინალური ფორმით. სათაური ავტორმა ბერძნული ასოებისგან შეადგინა, რაც „არარსებულ ადგილს" ნიშნავს. ისე კი, როგორ არ არსებობდა, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ტომას მორისა და მკითხველის წარმოსახვაში. მორმა მიზნად დაისახა შეექმნა იდეალური სახელმწიფოს მოდელი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყველა მანამდე არსებული სოციალური სტრუქტურების ნაკლოვანებებისგან. აქამდე ასეთი პროექტი როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთშიც არაერთი იყო. ერთი სიტყვით, მორი სულაც არ ყოფილა უტოპიური აზრის პიონერი, მაგრამ მისმა შედევრმა საზოგადოებრივ აზროვნებაზე ისე იმოქმედა, რომ ყველანი მაინცდამაინც მხოლოდ „უტოპიას" ახსენებდნენ, ტომას მორის სახელმა კი უკვდავება მოიპოვა.**

„უტოპიის" სამყარო ძალიან საინტერესოა. მისი საზოგადოება უკონფლიქტოა, ყველგან სიკეთე სუფევს. კერძო საკუთრება არ არსებობს, ყველაფერი საერთოა. შრომა ყველა მოქალაქის საერთო მოვალეობაა, ამასთან რაღაც მკვეთრი ზღვარი ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არ არსებობს. ყველა მსურველი მოკლე სამუშაო დღის შემდეგ (იგი 6 საათს გრძელდებაძ ესწრება საგანმანათლებლო ლექციებს, თავის დასვენებას ინტელექტუალურ მეცადინეობებს უძღვნის. „უტოპიაში" აკრძალულია სიკვდილით დასჯა (შემდეგ ხომ თვით ტომას მორი სიკვდილით დასაჯეს?!ძ, დამნაშავეებს მძიმე და ჭუჭყიანი სამუშაოების შესრულება ევალებათ. მორი თვლის, „სჯობს დანაშაული დასაჯო, ვიდრე თვით ადამიანი", დამნაშავეს შეუძლია თავისი შრომით გამოისყიდოს შეცდომა.

მორის წიგნმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა, მოთხრობა ისეთ დოკუმენტურად სანდო ხასიათს ატარებდა, რომ ბევრმა მწერალმა ირწმუნა კიდეც „ახალი კუნძულის უტოპიას" რეალური არსებობა.

**მოამზადა
გივი
გამრეკელმა**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7077 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6777 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6508 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4791 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1259 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1340 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1274 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4993 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +7 |
| ქუთაისი. | +5 – +17 |
| ბათუმი. | +11 – +17 |
| ზუგდიდი. | +2 – +15 |
| თელავი. | +1 – +7 |

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"**
**გ. ახვლედიანის ქ. №19.**
**99-62-77; 899 32-85-76.**

კადრი



ანეკდოტები

**– მიხო, სასწრაფოდ უნდა ჩავისვა ორი ოქროს კბილი, – ეუბნება ცოლი.**

**– კი, აუცილებლად. ერთი ზევით, ერთიც – ქვევით და ერთმანეთს შევადუღოთ.**

* * *

**ჭიჭიკია „ან-2"-ის პილოტია. დასაჯდომად ემზადება და ამის შესახებ მოახსენებს აეროპორტის შესაბამის სამსახურს, მაგრამ ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ შასი გამოშვებულია.**

**– მოგვახსენეთ შასის გამოშვების შესახებ, – შეახსენეს მიწიდან.**



**– შასი გამოშვებულია 1956 წელს, – უმალ მოახსენებს პილოტი.**

* * *

**რომ იცოდნენ, როგორ მყავანან ჩაწერილი ტელეფონში, არც ერთი მათგანი არ დამირეკავდა.**

* * *

**– მომცეს პრემია, როგორც საუკეთესო თანამშრომელ ქალს. ახლა ვზივარ და იმაზე ფიქრი მტანჯავს, როგორ მოვიქცე: გადავიხადო მანქანის შესაძენად გამოტანილი სესხი თუ სამი ზომით გავიდიდო მკერდი და იმ სესხს ჩემს ნაცვლად ვინმე სხვა გადაიხდის?**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.